


საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო



შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“



ქართული
ლიბრთეკა

I	იესო ქრისტე და მებადურები სურათი	130
II	სიმღერა (სოფლური) ლექსი	131
III	დედა-შველი. მონადირის ნაამბობი ნინო გოგნაშვილი	132
IV	ფინია და ნიკორა ამბავი ბაკრატ ბუთაძისა	134
V	მგელი, გოჭი, იხვი და ბატი (ფრან.) შედა დ — ესი	141
VI	აკაკის ხსოვნას (დასასრული) ა განდევლისა	145
VII	ძია შიოს დღესასწაული ლექსი ვ. რუხაძისა	150
VIII	ფუტკართა დედოფალი (გაგრძელება) იტასი	152
IX	წერილმანი: გამოცანები, ანდაზები და სხვა	158
<hr/>		
X	სურათები. ლექსი ჯ. ძაბიგურისა	160
XI	ქრისტე აღსდგა. ლეგენდა ალ. იასდაშვილისა	162
XII	კარმენ სილვა. დ. კასრაძისა	164
XIII	პაუნა და ტანესი მოთხრობა კარმენ სილვასი თარგმ. კკ. გაბაშვილისა	167
XIV	როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა? კვ. ჭაჭინაძისა (შემდეგი იქნება)	171
XV	სამშობლოს ნუგეში ლექსი ბაკ. ბუთაძისა	178
XVI	ფარო თარგმანი შარო იაშვილისა	179
XVII	უილიამ შექსპირი ბიოგრაფია ალ. ლორდელი	187
XIX	ხალხური ლექსები	192

მიიღება ხელის მოწერა

ჯ ე ჯ ი ლ ო ზ ე 1916 წლისა.

„ჯეჯილის“ რედაქცია სთხოვს ყველას, რომ მის დაუკითხავათ ჟურნალიდან არაფერი არ გადაბეჭდონ.



ქართული
ბიბლიოთეკა



საუმაწვილო ნახატებიანი

შურნალი.

თბილისი, მწვანე ჯეჯილოს
დამფუძნებელი: უნაოა.
ი. დ.



მარტი, 1916 წ.

◆ წელიწადი მეოცდაშვიდი ◆



თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „სრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1916



ქართული
ანტიკობათმცოდნეობის
ინსტიტუტი



იესო ქრისტე და მებადღურები.

ს ი მ ლ ე რ ა .

(სოფლური)



ამოხაფსულდა... ბიჭიკო,
უნებს მოკვიდოთ სელია.
მამა ომშია წასული,
ოჯახის საქმე ჩენია.

ღაუტრიბლდეთ სასლაკარსა,
მტერს დავუყენოთ თვალია.
არზვინა სთქვას „ოსერი,
ეკ უპატრონო ქალია.“

აბა გამომევევ, სულიკო,
დედილო გენაცვალება,
გამომევევ, ჩემო პატარა,
ჩემო ყუყუნა თვალება!

გადავჭკრათ ხარსა წკეპელი,
ჩაუნავარდოთ ჭალებსა,
სელთა ავილოთ მასვილი,
გავჭკრათ—გამოვჭკრათ ჩალებსა.

შრომისთვის დაუბადებულვართ,
შრომით მოვიხდით წმინდა ვალს...
უქმად ჯდომით და ლაუბობით
ვინ შექმნის ტურუბა მოძავალს?

მიმქრალი.

დედა-ზველი.

(მონადირის ნახაზები)



ს იყო იანვრის მზემ
თავი ამოჭეო სოკოს
გორიდან,*) როცა მე
პატარა წუბაროსთან
შევდექე. ჩემ წისქვილში
მინდის***) ჩამოსატა-
ნათ მივდიოდი. შინი-
დან რომ გამოვედი,

ჩემმა დედაკაცმა მომამხსა:

— კაცო, თოფი წაიღე, ამ საძაგელ ჟახალობის
დროს, ვინ იცის, როგორ დაგჭირდეს.

ნეტა ღმერთი გამწერომოდა, და აზრ დაქვეყნე-
ბინა!

მაგრამ, ეური დამიგდე, ნამდვილ ამბავს გაამბობ,
ჩემო პატარავ, გაიკებ თუ რად ვიწვევლი თავუბდს?

ქალამნის თასმა გამხსნოდა და იმის შესაკრავათ
დავისარჯ, ძაღაუნებლიეთ მზისკენ მივიქცევი ჰირი და
ანკარა მორაკრაკე წუბარო—ბროლის ნაპირებში—ზურგს
უკან დამჩნა. თასმის შეკვრა ვერც კი მოვასწარი, რომ

*) ს. შილდაშია (შიგნით კახეთი)

**) წისქვილის პატრონი დაფქვაში ფქვილს იღებს—ამ ფქვილს
ჰქვიან მინდი.



ზურგზე რაღაც შემომეფეთა. მსწრაფლ თოჯს ვიკარ
ხელი და ლამაზი მშულის ნუერი წამოვაგორე. რო-
გორი თვალები ჭქონდა, ჰატარავ! ჯერ კიდევ გასი-
ლებული, სიცოცხლით სავსენი გამოიუურებოდენ.
მოკამკამე თვალის კაკლიდან შავი ბაია უზრუნველათ
მიცქერდა.

— რად მოუხსნე სიცოცხლე ასეთ ნორჩ, უმან-
კო არსებას ამ საამურ დილაზე? — ვუთქრობდი, რო-
ცა შორიდან მისი დედა ამაუი დედობრივი კუნტრუ-
შით შვილისაკენ მოექანებოდა. კანერდა შვილის წინ,
სევდით სავსე თვალები შემომანათა. იდგა ბედგრული
და თავის უსიცოცხლო შვილს დასცქეროდა.

— მოკალ, გაძიელება თავში საზარელმა აზრმა,
— მოკალ და ერთბაშათ მოუხსნე განუსაზღვრელი სეუ-
და-გულის წუსილი, იქნება ჰირმმოც იყო.

დედა-შველი კი ისევ გაქვავებული იდგა ჩემ წინ.

თოფი მოვიძარჯვე გასატენათ — თუ გაიქცა, გა-
დარჩება სიკვდილს, — გავიფიქრე, — მოდი არ ვესვრი.

თოფი გავტენე, შიგ გულში დავუმიხსნე. შველი
არც კი განძრეულა, თითქო ჩემი გულის ნადები მა-
ნაც განიზიარა და თოფ ნაკრავმა იქვე შვილის გვერ-
დზე ჩაიკეცა.

სევდა-სიამით ამევსო გული.

სევდა უსუსურ შელის სიკვდილით იყო გამო-
წვეული, სიამე — დედა შვილის სევდის მიასპობით.

ნინო გოგნიაშვილი.



ფინია და ნიკორა.



ას წვეხართ, ადექით, ნახეთ, ჩვენმა ძროხამ წუსელს რა ღამაში სბო მოიკო!

კვიძახარობლა დედამ.

ჩვენ ეველანი ლოგინიდან წამოვსტით, საჩქაროთ ტანთ

ჩავიცვით და ძროხისკენ გავეშურეთ სბოს სანახავათ. გავედით თუ არა კარძი, ვნახეთ რომ დედას უკვე ხელში აკვანილი მოჭეუადა ჰატარა წითელი ფერის სბო, რომელსაც ტანი სულ გალოკილი ჰქონდა და სიცვიისგან თრთოდა.

— დედილო! შენი ჭირიძე, სახარეა თუ საფურე? — შევეკითხეთ ჩვენ.

— სახარეა. სთქვა უკმაყოფილოთ.

არ ესიამოვნა დედას, იმიტომ რომ ჩვენ დაბაში ვცხოვრობთ, სუნათესვას არ მივსდევთ და ამიტომაც ჩვენთვის სჯობდა, რომ საფურე უოფილიყო; მაშინ გაზზრდიდით.

დედამ სბო ოთახში შემოიყვანა და ღუმელთან დააყენა გასათბობათ. ჩვენ მივცვივდით, მივუბლერსეთ. რა მშვენიერი სანახავი იყო ის დალოცვილი! თავით ფეხებამდე წითელი ფეხის ბაღანი ესხა, სოლო შუბლის შუაზე კი თეთრი ნიკორი ჰქონდა. ამიტომაც ჩვენ სბოს „ნიკორა“ დავარქეთ.

დედამ ხბო ღუშელთან გაათბო და ისევე ძროხას გაუყვანა, რომელიც შვილის მოძორების გამო ბლა-ოდა. ამ დროს შესობლიანთ შალიკომ შემოირბინა ჩვენსას და დედას უთხრა:

— დეიდა, ჩვენმა ძაღლმა ლეკვები დაჭყარა და დედამ შემოგიტვალა, თუ გინდა ერთი აირჩიეო.

დედა ლეკვის ასარჩევად წავიდა და ჩვენც გაუყევით. მივედით, ვნახეთ, რომ ძაღლს რვა ლეკვი დაეუარა. ზაწაწკინტელა ლეკვები საცოდავად წკმუტუნებდნენ. თვალები დასუჭული ჰქონდათ და ვერ ასელებდნენ. დედა ლეკვებს მუშუს აწოვებდა.

— დედილო! რატომ თვალებს ვერ ასელებენ? — შეეკითხა ზატარა ქეთო დედას.

— ჯერ, შვილო, ორ კვირამდის ეგრე იქნებიან და შემდეგ კი გასელებენ.

ჩვენ უველას გაგვეხარდა, რომ ლეკვები თვალებს დასუჭული არ დარჩებიანო, და ამორჩევა დავიწყეთ.

— დედაჯან, გინაცვალე, ეს კაცი ლეკვია, ეს წავიყვანოთ.

— არა, ეს უფრო უკეთესია!

— ეგ კი არა და მე ეს უფრო მომწონს, ლამაზია! ამ რჩევაში ვიუავით ჩვენ, რომ ამ დროს მოვიდა მია შაქრო და გვითხრა:

— დამცათ, ბავძებო, ესლბა მე თქვენ დაგანახვებთ, თუ როგორ უნდა აირჩეს კაცი ლეკვი.

ჩვენ დავჩუბდით და მია შაქრომ დედას უთხრა:

— უველა ლეკვები ამ ადგილიდან სხვა ადგილზე უნდა გადავიყვანოთ, ცოტა მოძორებით. შემდეგ მათი

დედა ისევ აქ მოიუგანს სათითაოდ. რომელსაც ჰირველათ მოიუგანს, ის სსვებზე უკეთესი იქნებაო.

ასეც მოვიქვით. ძაღლი ჰატრონმა დაიჭირა, ჩვენ ლეკვებს სელი დავაჯლეთ, შორს წავიუგანეთ ესოს ბოლოში და იქ დავუარეთ. საწუალი ძაღლი წგმუოდა, ეგონა ლეკვებს სამუდამოთ მაშორებენო. ბოლოს ჰატრონმა რომ გაუშვა, იმასაც გაესარდა, ნელ-ნელა, ქურდულათ მიცუნცულდა თავისს შვილებთან და ჯერ ეველა სათითაოდ დასუნა, შემდეგ ერო ლეკვს დაავლო ჰირი და ძველს ადგილზე მოაცუნცულა. მერმე კიდევ ლეკვებისაკენ გასწია და ისევ დასუნა ისინი. აი მეორე ლეკვიც აირჩია და მოიუგანა. სანამ მესამეს მოიუგანდა, მია შაქრომ ჰირველ ორს ლეკვს ფეხებზე ნიშანი შეაბა. როცა ძაღლმა ეველა ლეკვები ძველს ადგილას მოიუგანა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ მართლაც ჰირველათ მოუგანილი ორი ლეკვი სსვებს გაცილებით სჯობდა. ერთი ჩვენი იყო, მეორე მია შაქროსი.

— მია, შენი ჭირიძე, ამისსენი, ძაღლმა რატომ ჰირველათ უფრო უღონო ლეკვი არ მოიუგანა? უღონოს სომ უფრო შეველა უნდა?—შევეკითსე მე მია შაქროს.

— არა, ჩემო ბიჭიკო, მითხრა მან.—ძაღლს ისე ეგონა, რომ სანამ ერთი ლეკვი წავიუგანო და მოვბრუნდე, მანამდის შეიძლება მეორები დამისოცონო, და ამიტომაც საუკეთესო აირჩია ჰირველათ.

დედა შინისაკენ გაემურა და ჩვენც უკან გავეშვიით. იმ დღეს სულ სხოს ვებაღერსებოდით.

მეორე დღეს დილითვე მივედით ლეკვების სანახავათ და ვნახეთ, რომ ორი ლეკვის მეტი აღარ იყო. ორი არჩეული დაეტოვათ და სხვები კი თურმე წყალში გადაეყარათ. ძალიან გული დამწუდა. საწყალი ლეკვები! ვინ იცის რამდენი იწვალებს და იმწარეს, სანამ დაინრჩობოდენ. თანაც ის უბედურები ისე დაიხოცენ, რომ სინათლის დანახვაც კი არ ეღირსათ. ძაღლიც დაღონებულად იწვა და ამ დანარჩენ ორს ძუძუს აწოვებდა, გულში იკრავდა.

ორი კვირა რომ გავიდა, ჩვენი ლეკვი შინ წამოვიყვანეთ. თვალები უკვე გაესილა, თვითონ შავი ფერისა იყო და რადგანაც ჰატარა ფინიას ჯიშის იყო, ჩვენც ამ ლეკვს „ფინიკა“ დავარქვით.

ძალიან დამეგობრდენ ნიკორა და ფინიკა, ერთმანერთს არა სცილდებოდენ, ეზოში ერთად თამაშობდენ, სტუნაობდენ და ერთი ამბავი ჰქონდათ. უნდა გენახათ, როგორ ეთამაშებოდა ნიკორა ფინიკას და აგრეთვე ფინიკა ნიკორას.

აი, ნიკორა წევს ეზოში მწვანეზე და არსეინათ იცოხნის. მას ფინიკა გარშემო ურბენს და ელაქუცება ეალერსება: ხან ალერსიანათ უღრენს, ჰეფფს. ხან სურგზე შეასტება, ხან თავს გადაასტება. აი ასეა ნიკორა წამოდგა და შეიკუნტრუმა. ფინიკა კი იმ წამს დაწვა და სული გამელა. ასეა კი ნიკორა მას თავს დასტრიალებს, კუნტრუშით გარს ურბენს, უნდა იმ ნაირათვე ესურვილოს, როგორც ფინია მას ელაქუცება სოლმე, მაგრამ რომ ვერ მოუხერხებია, — ეს ჩვენ ძალიან გვაცინებდა.



უფრო სასაცილო კი ის იყო, რომ როცა ნიკორა სმოვდა, მისი შემუურე ფინიკაც ბალასს კენეტას დაუწევებდა სოლმე და რომ არ ეამებოდა, ჰირიდან გამოჭერდა და გულმოსული ჰეუფდა, თანაც გაკვირვებული ნიკორას მისჩერებოდა, რომელიც სიამოვნებით ისევედა ბალასის ბლუჯებსა და მუცლისაკენ გზავნიდა.

შეიძლება ფინიკას იმაზედაც გული მოსდიოდა, რომ მისი ტოლი ნიკორა ზაფხულში გვარინანათ გაიხარდა და თვითონ ფინიკა კი ისევ ერთი ბეწო იყო? შეიძლება, მაგრამ ნიკორას და ფინიკას რომ ერთმანერთი მან უეჯრდათ, ამას ჩვენ ცხადათ ვსვდავდით და უფრო მეტის აღერსით ვესურვილებოდით მათ.

ასე მსიარულათ ატარებდენ დროს ნიკორა და ფინია მთელს ზაფხულს. აკერ ენკენისთვეც ვავიდა, ესოში ბალასი უკვე ცხმა, ნიკორას საჭმელი შემოაკლდა, ჰურსა და თივას ვაჭმევდით. ესლა უკვე ის ექვნი თვისაა და ჭამაც მეტი უნდა.

ერთს დილას რომ ავდექით და ესოში გამოვედით, ვნახეთ, რომ ერთი მასლობელი სოფლის გლეხნი დედას სბოზე ევაჭრებოდა, ნიკორა უნდა ეეიდნა. ჩვენ უველანი შევწუსდით, ჩემმა ჰატარა მამ ვასიკომ ტირილი დაიწყო, ჩვენც ავცრემლდით, გვებრალებოდა ჩენი საუვარელი ნიკორას მოშორება, მაგრამ რას ვისამდით, თუცა ბერი ვესვეწეთ დედას, ნიკორა არ გაეეიდნა, მაგრამ ვერას ვავსდით.

— საფურე რომ ეოფილიყო, ვავსრდიდი, ესლა



კი რომ გავზარდო ხარ, რომელი უნები უნდა მოვახსენებო? ასე გვითხრა დედამ.

ფასზეც მოზრდილ და გლეხმა ნიკორა წაიყვანა. ჩვენ უკან გავეყვით და დაბის ბოლომდის გავაყვით. ფინიამ წკმუილი დაიწყო, ნიკორას გარშემო უვლიდა და ჭეუფდა, თითქო ეუბნებო: ხად მიხვალ, შინ დაბრუნდი. არც თვითონ ნიკორას უნდოდა მოშორებოდა, მაგრამ რა უნდა ექმნა სწავლს, რომ უელზე თოკი ება და გლეხიც წკვლას ურტყამდა. დაბის ბოლოს რომ მივედით, ჩვენ ნიკორას თვალებში და შუბლში ვაკოცეთ და გამოვემშვიდობეთ. გლეხმა შეგვატყო, რომ ტირილს ვაპირებდით, და აღერსიანათ გვითხრა:

— ნუ იტირებთ, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ნიკორას მე უფრო კარგათ შევინახამ. ჩემი სოფელი აი ის არის, სულ ორი-სამი ვერსია, ნიკორა შორს არ იქნება, მადით ნახეთ სოფლე.

ამ დროს გლეხმა თავისი სოფელი დაგვანახა. ჩვენ უველას გაგვეხარდა, რომ ნიკორა ახლოს გვეყოლებოდა. გლეხსაც შევეხვეწეთ, უური კარგად უგდე, ნურას დააკლებო, და შინისკენ გამოვსწიეთ. ფინია მანც ნიკორას არ შორდებოდა, გლეხს ჭეუფდა, ნიკორა გაუშვიო... როცა ჩვენ უკან გამოვსწიეთ, ფინია ხან ჩვენსკენ მოიბებნდა და გვეუფდა, ხან ნიკორასკენ გაიქცეოდა. ბოლოს ჩვენ გამოგვეკვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფინია დაგვეკარგა, ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვნახეთ. უველანი დაუდონდით. ვინ იცის, მკელმა შეჭამა თუ ძაღლებმა.



დასიეს — ვიფიქრეთ ჩვენ. მეორე დღესაც ვაპირებდით ფინიას ძებნას, რომ ამ დროს ჩვენს ესოში შემოვიდა ის კლეხი, ნიკორა რომ იეიდა, და ფინიას ხელში აუვანილი მოჭყავდა.

— ე თქვენი ძაღლი გუშინ სოფლის გარეთ ვინახე ნიკორასთან და შინ წავიყვანე, რომ ძაღლებს არ დაეკლიჯათ. თუ ღმერთი გწამთ, ნუ გამოუშვებთ, თორემ ძაღლები კაი დღეს არ დააუენებენ.

ჩვენ უველას ვაკვებსარდა ფინიას დაბრუნება. რამდენიმე დღის შემდეგ საღამოსე ვინახეთ, რომ ნიკორამ ჩვენს ესოში შემოიბინა. თურმე ნახირიდან გამოჭვარვოდა. ჩვენ მოვესურვილეთ, ღამე შევინახეთ და მეორე დღეს ჰატრონს ჩავაბარეთ. ფინიას სომ სულ თავს ევლებოდა ნიკორას. სანამ დაზამთრდებოდა, ფინიას და ნიკორა ერთმანერთს სძირად ნახულობდნენ სოფლმე.

ესლა ნიკორა უკვე გაიხარდა, დიდი ხარი გახდა, ფინიას კი ისევ ჰატარა. ერთმანეთი მანაც არ დავიწყებიათ.

ზაგრაბ ბეთანელი.





გველი, გოჭი, იხვი და ბატი.

(ფრანგულით)



როსელ გოჭი, იხვი და ბატი დაძეგობრდენ, ერთმანეთში კარგი განწყობილება ჰქონდათ. მათ ასლას ტეეში სცხოვრობდა ერთი ძეგელი.

ერთ დღეს სამივე ამხანაგებმა მოინდომეს სათითაოდ სახლის ამენება.

იხვი წავიდა ტეეში, მოაგროვა ფოთლები, ხავსი და ზიგო სახლი.

ბატიც წავიდა ტეეში, მოაგროვა ფოთლები, ხავსი, ჰატარ-ჰატარ ფიხსები და იმანაც ამენა სახლი.

გოჭმა კი აიღო ფიცრები, ლურსმნები, ჩაქური და ამენა მშენიერი მავარი სახლი. სასურავსედ სიფრთხილისათვის აუარებელი ლურსმანი თავდაღმა ჩაარჭო, ისე რომ წვეტიანი მხარე ზემოთ დარჩენილიყო. როდესაც მუშაობას მოჩენ და ეგვლაფერი მზათ იყო, მოვიდა ძეგელი, პირდაპირ იხვის სახლს მიადგა და დაიძახა:

— იხვო, გამიღე კარები.

— რისთვის?

— შემოსულა მინდა შენთან.

— არა! არ გაგიღებ კარს.

— მამ შენ სასლზედ ავალ. იმდენს ვისტუნებ, იმდენს დავაბრახუნებ რომ ჩამოვანგრევ.

— ადი თუ გიჯობს.

მკელი ავიდა სასლის სასურავსე და სულ ერთიანათ ჩამოანგრია. მაგრამ ისემა მოასწრო და ბატთან გაიქცა.

მაშინ მკელი ბატს მიაღვა.

— კარი გამიღე, ბატო.

— რისთვის?

— ისვი მინდა, მანდ რომ არის.

— არა, არ გაგიღებ კარს.

— მამ შენ სასლზედ ავალ. იმდენს ვაბრახუნებ, იმდენს ვისტუნებ, რომ სულ ჩამოვანგრევ.

— ადი თუ გინდა.

მკელი ავიდა ბატის სასლზედ და დაუნგრია. მაგრამ ბატი ისეთან ერთად გოჭთან გაქცეულიყო.

— გოჭო, გამიღე კარი.

— რისთვის?

— ბატი და ისვი მინდა, მანდ რომ არიან.

— არა, მე არ გაგიღებ კარს.

— მამ შენ სასლზედ ავალ, იმდენს ვისტუნებ, იმდენს ვაბრახუნებ, რომ თავზედ დაგინგრევ.

— ადი, თუ გიჯობს.

მკელი ავიდა სასურავსედ, და დაიწყო სტუნვა და ბრახუნი, მაგრამ გოჭის ჩარჭობილი ლურსმები შეერჭო და საჩქაროთ ჩამოვიდა უკანვე.

მაშინ, კარების ჭუჭრუტანას მიაღო ცხვირი და შეიცქირა შიგ, უნდოდა გაეგო თუ რას აკეთებდენ.

გოჭი თავის ორ მეგობარს ეუბნებოდა:

— მოდით, ღომის შეჭამადი გავიკეთოთ, ისვი ცეცხლს გაანადებს, ბატი წუხლს მოიტანს და მე კიდევ ჩემი კუდით შეჭამადს მოვურევ, მკელი უუარებდა და თან ჩურჩულებდა:— რა გემრიელათ შევექცეოდით იმ კუდს, რომელიც შეჭამადს მოურევს.

გოჭმა გაიგო და დაუვირა:— რას ამბობ, მკელო?

— ოჰ! მე ვამბობ რომ ისვი კარგათ ანადებს ცეცხლს... რა გემრიელათ შევექცეოდით ღომის შეჭამადს შენი კუდი რომ შელავს!

— რას ამბობ, მკელო?

— ოჰ მე, ვამბობ, რომ ბატს მოაქვს კარგი წუხლი... რანაირათ შევექცეოდით იმ გემრიელ კუდს?

— რას ამბობ, მკელო?

— ოჰ! მე ვამბობ რომ რა ძალიან კარგათ შელავს მაგ ცომს.

როდესაც ღომი კარგათ იქმნა მოხელილი, გოჭმა გაურია შეჭამადში ბევრი წუხლი, მერე ჩაასხა დიდ-ქვამში და დაუწყო კოვხით მორევა.

მკელი კი სულ უუარებდა.

როდესაც შეჭამადი ადუღდა და კარგათ მოინარძა.

გოჭმა დაივირა:

— შეჭამადი გინდა, მკელო?

— მინდა.

— მამ გამოუხვი თათი.

გოჭმა კარები ოდნავ გახლო და მკელმაც თათი გამოჰყო იმ იმედით კი, რომ ძაღვ შევიდოდა მათთან. მაგრამ გოჭმა უშველებელი კოვხით ადუღებული



შეჭამადი 'სედ გადასსა. მკელმა მორთო ბღაფილი და მოჭკურცხლა ტუისაკენ. მას შემდეგ არასოდეს აღარ მობრუნებულა მათთან.

გოჭი, ისვი და ბატი მას აქეთ ბედნიერათ სცხოვრობდენ და არასოდეს ჩხუბი არ მოსვლიათ.

მელია ღ...ძე.





აკაკის ხსოვნას.

(დასასრული)



აკაკი სანდისან იმულებულიცაა წარსულით ინუგეშოს. იგი ჭხედავს ჩვენს დაცემულ-გადაგვარებას და ძალაუნებურათ მას თვალ-წინ ესატება ქარს თველი ერის განმანათლებელი ნინო, ქეთევან და თამარი. აკაკი შენატრის მათ დროს და ესვეწება გაჭირვებისაგან ცხსნან ბედაკრული სატრფო ზოეტისა, აკაკის თვალში იმდენათ გადაგვარებულან ჩვენი ქალები, რომ მათის ცქერით ადამიანი ცხადლივ ვერ დასტკებება თუ არ სიზმარში. „ერთსელ მსოლოთ ისიც მიღში ქართველ ქალთა ვნახე კრებაო“. ამბობს ზო

ვტი. ქართველ ქალში აკაკი უპირველესათ აფასებს „დედას“, რომელმაც უნდა გამოხარდოს მამულის შვილი და ამით გადაიხადოს თავისი ვალი.

ამასთანა დედას აკაკი ეუბნება:

„შენ გენაცვებლოს კეკელუცი ვუელა,
ოხერიც იუოს მათი მშვენება“ და დასძენს:

„მე შენ არ გეტრფი მშვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,



მე გაბძობორებ სელსე მისათვის,

რომ მავით გეპურა მამულის შვილი“

აკაკის აზრით დედამ ბავშს ნანასთან ერთად უნდა ჩაერთოს ერის ჭირ-ვაზრამი და ეს ცხოვრების მწარე იღბალი შეუსისხლსორცოს ჰაწია შვილის ნორჩ გრძნობა-გონებას. აკაკის ღრმით სწამდა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი თვით ხალხის, გლეხების აღდგენაში და დაწინაურებაშია. ამიტომ ეუბნება გლეხის შვილს „ჰაწაწინა იადონო და ვარდის კონაო, დღეს სო კარგათ გაიგონე ჩემი ნანინაო! მამ ნუ გძინავს, გაიღვიძე, იცან ქვეყანაო, შენც შეიტყე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო“ აკაკი შეჭხარის ნამდვილ ქართველ დედას და იმედიც აქვს, რომ ის გამოზრდის გძირს. აკაკი ამ იმედით ცოცხლობს და ამბობს:

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს

და ისევე გაიღვიძებს!..

ვინც შენატრის იმის სიკვდილს,

უმაღ მასვე დაამიწებს!

ბევრის ბრძოლით დაღალულსა

ეჭირვება მოსვენება!

შემცდარია, ვინც გულს იტყის...
 მკოსანს ფრთები ესმება მომავლის იმედით და

„როცა იმედი, ცის ნიჭი გაუელვებს გლას გულსა თავი ტარეულ ჰკონია ოცნებით გარემოცულსა“.
 ვერც ეშმაკის გამოგზავნილი მანქანები, ვერც თავის ჭაღარა მას გულს ვერ გაუტყის

არა, აჭუვავდეს იმედი!

გულს ვერ გამიტყის ჭაღარა!..



კმირებს უძახის... უეივის

ჩემი დაფი და ნაღარა!..

აკაკის სურს რომ თავის სატრფოს სედავდეს თავისუფალსა. ან მამულიძვილისთვის რა უნდა იყოს მამულზე უძვირფასესი?

მკოსანს ვერ წარმოუდგენია იმისთანა აღმანი, რომელსაც მამული არ ერჩივნება უველას მის სურვილებს. მაგრამ ამისთანა აღმანები ბევრი არიან ჩვენს მიწა წყალში, იმათ სამშობლო არად მიაჩნიათ და აი ამ ზირებს აკაკი ჭკიცხავს.

ძრავალ მსრფობა და ძრავალ მნიშვნელოვანია მოღვაწეობა აკაკისა. მისი ზოეზია ზეციური მანანაა ქართველი ერისათვის, რომელსაც ერთგვართ ასახროდობებს უველას დიდს და ზატარას, ქალს და კაცს, მოსუცს თუ ასახლოზრდას, აიღეთ მაგალითად მისი „გაღია“! განა შეიძლება ამასე უფრო მკაფიოთ, მარტივით და უბრალოთ მიაწოდო ასეთი სიბრძნე მოზარდ თაობას?!..

სულ რამდენიმე კვერდზე მან დიდებულათ შესძლო გადაეცა თავის ნორჩ მკითხველთათვის ამბები, ანდაზები — გამოცანები, ზმები და ენის კასატკენი! ავიღოთ მაგალითად: ჯერ მოგვითხრობს ამბავს კურდღელზე, ზედ მიაუოლებს ლექსს კურდღელზე; შემდეგ მისდევს აი ეს გამოცანა:

„მინდვრათ რწეილივით დასტოდა

ერთი უკუდო კატაო,

რაც საკუდზე დააკლდა ეურებზე მიემატაო.

ცხვირსასოცს თავი გამოსკვენ, კედელზე დაისატაო.



და ვინც ვერ გამოიცნობს — სჩანს ჭკუამ უღალატაო“. ამას მოჭეუება ზმა კურდღელზე; მაგრამ განცვიფრებაში მოჭეუესართ ვეელაზე უფრო ჩქარ სათქმელს ენის გასატყის!

„კურდღელო! რას გამოგოცნიცუნ-კატუნ-უურება-უვარჯნიანებია ეგ თავი? მოვალ, უვარჯნის დგარტყამ, უფრო გამოგოცნიცუნ-კატუნ-უურება-უვარჯნიანებია მაგ თავს?

აკაკი შემომქმედია დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ ენისა! მან დაწვრილებით შეისწავლა ქართული ენის კილოკავები და რა თქმა უნდა ამის შემდეგ მისთვის პროვინციის ენის საღაროები, რომელიც საუბედუროთ დღესაც დასშულია ჩვენ მწერალთათვის, ღია იქნებოდა! აკაკის ნაწერები არის მოფენილი ვეელა საქართველოს კუთხეში, იმდენათ მდაბიო და გასაკები ენით სწერდა. აკაკიმ ჰირველმა შეიტანა ლიტერატურაში ხალხური სული და ენა; მან შექმნა ენა! ამ მხრივ მნიშვნელობა აკაკისა ქართულ ლიტერატურაში არა ნაკლებია, ვიდრე ჰუსკინისა რუსეთში. აკაკი წინასწარმეტყველია ერისა, იგი არის შუამავალი ზეცისა და მიწისა. არც დიდი (პოეტი) არც ჰატარა, არც ბატონი და არც მონა... უგუნურია, სან ბრძენი, სან არც ეს არის, არც ისა, (პოეტი) გარემოების საევირი სან მიწისაა სან ცისა...

„თქვენ რომ გგონიათ, არ არის, სხვას როჭგონია არც ისა, შუა კაცია უბრალო, სან მიწისაა სან ცისა. „იგი ფუტკარია, ბზუილა-მოუსვენარი, სატის ბუხი, ზეცის მუშა, რომელიც სულს სწირავს

და გულის უძღვნის დვითისა და კაცის ტებოლ სამსახურს“. „ვინც მე მაშინ ხელს შემიშლის, ქვეყნის მტერი ის არიო და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო“. იგი „სანთელია“, რომელიც საიდუმლო ჰარზარით ბნელს ჭფანტავს მისი ნათელი; მუედროთ, უხმოდ და უძრავად დნება ვით მისვერზლი დიადი, რომ მადლით გაასწეტაკოს თვალ-უწვდენელი წუგდიადი“. აკაკი მგოსანია ბუნებით და მოწოდებით, იგი ტირილის „სარკეა“, იგი ბულებულია დღე და ღამ განუწუგეტლივ მუეფარი — სატრფო ვარდის „დაზრობის“ გამო. აკაკის ჰოესია, ეს თვით სამშობლოს ბუნების ამომახილია!.. მისი ლექსი მთის ნიავია, მოხუხჩუხე ანკარა ნაკადია!.. თვით აკაკი განსორციელებია სამშობლოს ტრფიალებისა!.. მისს მარჯორ-ვორდროზი, დიდებული ინგლისელი ჰოეტი-ქალი, რომელმაც ინგლისურ ენაზე შექმნა „ვეფხის ტეაოსანი“, განცვიფრებაში მოჭეავს აკაკის ღაღ ჰოესიას და აღტაცებული მიძართავს ევროპას: „აბა მიჩვენეთ ევროპიის საღაროში ერთი ლექსი მაინც, რომელიც აკაკის „სულიკოს“ შეედრებოდესო.

არა მარტო ინგლისურს ენაზედ, სსვა ენებზედაც არის ნათარგმნი აკაკის ნაწერები. ევროპა იცნობს აკაკის და საქართველოც ამაუობს მითი.

დაუვიწვარს მგოსან აკაკის მადლიერმა სამშობლომ 1908 წ. 7 ქრისტეშობისთვის გადაუსადა 50 წლის დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მთელი საქართველო.

„განათლების“ სასწავლებლის მოწაფე

ა. კანდელაკი.



„ძია შიოს“ დღესასწაული.



ოვდა. თეთრი ვვაზილები
ძიოს სცვივოდა ცქრიბლითა,
ვით ფოთლები შემოდგომის,
ცეკვითა და ტრიბლითა.

კაცი, ქალი, დიდი, მცირე,
ვევლა თვატრს აწედებოდა,
ვით ნადიმსე მიწვეული,

სასლში არვინ არ რჩებოდა.

შეც ავევეი იმათ გრძნობას,
არ დაუბგდე მათი კვბლი;
რაც იქ ვნახე, განვიცადე,
უკეთესს რას ნახავს თვალი?!

საქართველოს ვვაზილები,
უსსოთ შლილნი მთა და ბარათ,
მათ მომღერალ „ძია შიოს“

ესვეოდენ ერთად ჯბრათ.

ქებათ ქებას უგალობდენ
ჩიტებივით ჭიკჭიკობდენ,
კოცნიდენ და ესვეოდენ,
ვვაზილებით თავს უძეობდენ.

უოველ მსრიდან გაისმოდა
ტაშის ცემა, ვაშა, ვაშა...
ვევლა ნეტარებას გრძნობდა,
ვინც არ იყო სულით მქისი.

თვით კი იღვა თავდასწრილი
ძალსე გრძნობა შორეული,
წარსულისკენ მიაფრენდა
მოგონება შორეული.

თვალწინ უღვა სიჭაბუკე,
როცა ჯერ კვლავ ნორჩი იყო,
როს ჰირველათ ლექსის წერას
მოკრძალებით სული მიჭყო.

რა იცოდა მაშინ იმან,
თუ ის თესლი, თესლი წმინდა,
რომ თესავდა, ისარებდა,
და ნაუოფს თვით მოიძვიდა?!

და დღეს, როცა სჭყრეტდა ამას,
უტოკავდა ტკბილათ გული
და დნებოდა გრძნობის ცრემლათ,
ჭაღარა თმით თავშემკული.

გ. რუხაძე.





ფუტკართა დედოფალი.

IV



ასაფსული დადგა. ერთმა ცნობის მოკვარე ფუტკარმა დილა აღრიანათ სკის ჰაწაწა ფანჯრიდან გამოიხედა და სარბათ შეისუნთქა თბილი გაზაფხულის ჰაერი, მერე გაძალა ფრთები და ბსუილ-ბსუილით სკიდან გამოფრინდა, მას სსვა ფუტკრებიც გამოჰქუვენ. სკაში მხოლოდ დედოფლის მცველები და რამდენიმე მუ-

შა ფუტკრები დარჩენ. სკის კარებთან მაშინვე რამდენიმე ფუტკარი დარბჯათ ჩადგენ, რომ მტერი არ შეპარულიყო. მუშა ფუტკრები კი სკის დაღბგება-მუკეთებას შეუდგენ. მერე რამდენი საქმე ჰქონდათ! უნდა მოეგროვებინათ ნაგავი, გადაეფერთნათ მტვერი და სანთლის ნასორსალი; აქა იქ სკის გვერდებს ობი მოჰკიდებოდა, ისიც უნდა მოესუფთავებინათ, ძირს მკვდარი ფუტკრები ეუარა, იმათი აკრეფა და კარში გატანა საჭირო იყო, ზოგი ფიჭის ჩამოკლეჯილ და დასიანებულ კედლებს აკეთებდა.

გარეთ გამოფრენილი ფუტკრებიც დროს ტყუილათ არა ჰკარგავდენ. ჯერ სუფთა ჰაერსე კარგა დაისკუნეს, მსესე გათბენ და მერე ასლათ გაძლილ ვვავილების საქებნელათ მინდვრებში გაფრინდენ. არც

ბევრი ძებნა დასჭირდათ. გასაფხულის ზირველი ვვაზილები, ია, ენძელა, შრომანა და სხვები უკვე სტუმრებს ელოდენ, ესენიც ხარბათ დაქაფენ მათ, წინა თათებით სტენავდენ უკანა თათების ბალიშებში ვვაზილების ვვითელ მტკერს; შორიდან ასე გეგონებოდათ ვვითელი შარვლები აცვიანთო, ზოგი ფუტკრები წუაროსკენ გაემურენ და იქ ჩინჩასვები წელით აივსეს, რომ დაძაქრული, გამაგრებული თაფლი დაუდნოთ.

დატვირთულნი ფუტკრები რომ შინ დაბრუნდენ მათ უკვე დამზადებული ცარიელი ფიჭები დაუსვდათ და მოტანილი ვვაზილის მტკერი იქ ჩაუარეს.

— კარგათ გასტენეთ კოლოფები, კარგათ, აბობოდა ბურბრუშკა—ეს ჩვენი მოძავალი დების სასრდოა, დედოფალს მოვანსენებ, რომ სასრდო იან და თან ეძატება ჩვენ საკუჭნაოს. ესლა კი წადით ზემო სართულში და იქ თაფლი სჭამეთ. მერე ერთი მეორეს მიეკარით, რომ ოფლი მოგივიდეთ, ოფლი ხომ სანთელია, სანთელი კი ჩვენ ბევრი გვჭირდება ასალი ფიჭების ასამენებლათ.

V

ბებია ბურბრუშკა შუა სართულისკენ გაემურა. დედოფალი იქ ბრძანდებოდა და გარძემო მცველები ესვიენ. დედოფალი სხვა ფუტკრებსე კარგა მოსრდოლი იყო და მოგრძო ვვითელი ფესები ჰქონდა.

— ესლა კი სამთარმა გაიარა, ქალბატონო დედოფლო, გასაფხული დადგა, ვვაზილები განძალენ და ჩვენი მუშები დღეს ზირველათ გავიდენ კარში და



კარგა დატვირთულნიც დაბრუნდენ, ისე რომ მომავალი ფუტკრებისთვის სასრდო ბლომათ გვექება.

— ეს კარგი აძბაფია! მიუგო დედოფალმა.

— ამ ცივმა სამთარმა ბევრნი დაგვიხოცა, შეუძვირდით, ახლა მუშები ცოტა გვეავს, სამუშაო კი ბევრი გვაქვს: ფიჭების დამსადება, თაფლის მოგროვება, მტრისაგან სკის დაცვა. დედოფალო, მე მაშინებს ჩვენი მდგომარეობა, უთუოთ საჭიროა ახალი ფუტკრები, თორემ ცუდი დღე დაგვადგება.

— შენ სულ შენ თავზე ფიქრობ—უსაუკუდურა დედოფალმა.

— რასა ბრძანებთ, დედოფალო, მიუგო ბურბრუმკამ,—მე ჩემზე კი არა შენზე უფრო ვზრუნავ. თუ შენი ხალხი გაწელება, მაშინ შენც დაიღუპები. ხალხი უშენოთ არ ვარგა და შენ უხალხოთ.

დედოფალი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერე სთქვა:

— მართალი ხარ, ჩემო კარგო, ჩვენ მჭიდროს თა ვართ შეკავშირებული ერთმანეთთან, მე დედა ვარ თქვენი, თქვენ ჩემი შვილები—ჩემი ხალხი. თვითეული თქვენგანი საზოგადო საქმისათვის მუშაობს. თქვენ მე მასაზრდოებთ, მიფარავთ მტრისაგან, ჩემ მაგაერათ მუშაობთ, მე კი სამაგიეროთ ჩვენ სკისთვის ახალ ფუტკრებს ვაჩენ. მაგრამ ერთი დაფიქრდი ბოლოს რა უბედურება და შეწუხება მოძელის. ზოგიერთი ჩემი შვილები ხომ ისე იზრდებიან, როგორც ბატონიშვილები, როგორც ჩემი მემკვიდრეები... ეს იმისთვის, რომ თუ ვინიცობა უცბათ რამე დამე-



მართოს, თქვენ ასალი დედოფალი გეყოლებათ. მაგრამ როდესაც ისინი წამოიზრდებიან, მაშინ ჩვენ შორის ჩსუბი ასტყდება სოლმე და ვინც გაიმარჯვებს ის დარჩება ამ სკის ბატონ-პატრონი. როცა მომაგონდება ის დრო, როდესაც ჩემი საკუთარი შვილები ჩემს წინააღმდეგ ამხედრდებიან და ჩემსიკვდილს და დამარცხებას ეცდებიან. ვინ იქნება მაშინ ჩემი მშველელი? ვინ იცის ჩემი ხალსი მაშინ ჩემ მხარეს იქნება? მე მომეშველება? დამიფარავს?

— დაგიფარავთ, დედოფალი, ჩვენ შენი ერთგულები ვართ, წარმოსთქვა ბურბურუკამ და უცბათ დაფიქრდა—მას ასალიგაზრდა ზუმ-ზუმის სიტყვები მოაზკონდა, ცოტა არ იუოს შეფიქრიანდა და დედოფალი შეეცოდა. იმას დედოფალის მომავალი აშინებდა.

VI

რამდენსამე წუთს დედოფალი სდუმდა, მერე მან ღრმათ ამოიოსრა და დინჯათ წარმოსთქვა:

— მამ კარგი, აბა მოამზადეთ აკვან-კოლოფები ასალი ფუტკრებისთვის; ბატონიშვილებისთვის ცოტა მოდიდო იუოს. დაე ჩვენმა სკამ იმრავლოს, იმატოს. ბებერი ბურბურუკა რომ გამობრუნდა მუშა ფუტკრები სამუშაოზე კიდევ იდგენ: მწკრივათ გადაბმულიყვენ ერთათ, მერე შეჯგუფულიყვენ, მაგრათ მიჰკროდენ ერთმანეთს და დიდ ბურთათ ქცეულიყვენ. რასაკვირველია ასე ძალიან დასცხებოდათ ოფლიც ბლომათ სანთლის წვეთებათ გამოუდიოდათ. დანარჩენი ფუტკრები ამ შეჯგუფულ ფუტკრების ბურთზე დადიოდენ და ფესებით სანთლის ოფლს აცლიდენ. მერე



ეს ფუტკრები იღებდენ ამ სანთელს, ღეჭავდენ და დაღწილი თაფლით ფიჭებს აკეთებდენ, ჰატარა მუშები მარბათ მუშაობდენ—ერთ აკვან-კოლოფს მეორე ემატებოდა და ლამაზი კოლოფები ერთათ ჩამწკრივებულნი ლამაზ ფიჭებათ გადიქცოდენ.

ქვედა სართულში სოკი ფუტკრები იქაურობას ალაგებდენ, ასუფთავებდენ, მათ შორის ზუმ-ზუმაც იყო. ის სულ ბუტბუტებდა და სსვა ფუტკრებს აწუსებდა, მოსვენებას არ აძლევდა.

— კაი საქმესაც კი გვაკეთებინებენ! ბუტბუტებდა ზუმ-ზუმა,—სულ ნაგავსა ვზიდავთ; ესლა მინდორზე ფრენას და ევაგილებსე დასვენებას რა შეედრება.

— განა შენ არ იცი, რომ ეველა ჩვენგანი თავის საქმეს აკეთებს. უთხრა ერთმა ამხანაგმა.

— მოძწინდა მაგკვარი დარბევა. შენ რა გაგკება. მე დღეს დილა ადრიან მინდორში ვიუავ კიდევ. რა მშენივრებაა რომ იცოდე! იქ ერთი კრახანა შემსვდა და იცი როგორ დამცინოდა: „თქვენ სულ დედოფლისთვის მუშაობთო, სსვის მუშები სართო, ჩვენ კი თავისუფლათ ვცხოვრობთ და მსოფლოთ ჩვენთვის ვმუშაობთო“.

— რას სულელობ შენ მანდ, დაუევირა ზუმ-ზუმს ბურბორუკამ,—გირჩევენია შენ შენი საქმე გააკეთო. ესლავე დედოფალი ჩამოივლის და თუ დაულაგებელი დაუსვდა აქაურობა გიჩვენებს მაშინ სეირს.

— დედოფალი! წამოიძახეს მუშა ფუტკრებმა და გულმოდგინეთ დაუწიეს დალაგება.

— ეგრე, აი ეგრე, წაიბუტბუტა ბურბურუკამ და ასლა სსვან გან გაეშურა. ზუმ-ზუმამ უკანიდან ქოქოლა მიაუარა.

— რა სულელები ვართ! რას დავდეუთ ან დედოფალს, ან ჩვენ სკას! ალბათ დედოფალი არა ზრუნავს ჩვენზე, რომ სულ ნაგავს გვაზიდინებს, გარეთ კი არ გვიშვებს მშვენიერ მინდორ-უკავილებში გასეირნებას. სსვან დედოფალი რომ გვეავდეს უფრო თავისუფლათ და მსიარულათ ვიქნებით.

— ძართალია! წამოიძახეს სსვან ფუტკრებმაც, — მაგრამ ჩვენ რომ ბრძანება არ ავასრულოთ, მაშინვე დედოფლის მცველები დაგვუღუთავენ.

— რასაკვირველია! სსვან გვა არ არის უნდა როგორმე თავი განვიტავისუფლოთ.

— ძართალია ძართალი, დაიგუგუნეს ეველამ და სინარულით თათი თათს შემოჭკრეს.

(შემდეგი იქნება)

იტა.





გამოცანები.

(წარმოდგენილი შარაქიაშვილისაგან)

პატარა ძალლი კართან წევს,
პირი-ტუჩი მოუბრუნავს,
არცა ჰყევს და არცა კბენს
და არც უცხოთა შინ უშვებს,

—

თავი აქვს, თავს არა ჰგავს,
ფეხი მახვილს მიუგავს,
სიარული კი არ შეუძლია.

—

დავბერდი — დავთვალიანდი

—

ადამის წინ დაბადებული,
ჯერ ერთი თვისა არ არის.

—————

ანდაზები.

აღმართზე ამსვლეელი შესდგება
და დაღმართზე კი არა.

—

შიშველისათვის ზაფხულიც ზამთარია.

—

ავ თვალს კარგს ნურას უჩვენებ,
ავ ყურს კარგს ნურას ეტყვი-რა.

—————

ხალხური ლექსები.

ციდამ წამოვა ღრუბელი,
თავ დაღმა დაეკიდება,
კაცი რომ თავის თავს უზამს,
მტერი არ მოეკიდება.

ხუცესი უნდა მაგარი,
არა თუ ჯაბან ფრთხალია.
ხუცესს არ ეთქმის ჭირ-შიგან
ვერ შვეალ—სარიდალია.

(გურამიანიდან)

ჩემთან კი ბუღებდეს,
სხვათა კვერცხს უღებდეს.

ცუდსა მეთევზეს შერჩება
უბრალოთ წყალთა მღვრევანი.

ყრმა სწავლაში დამშვიდლების,
რკინა ცეცხლში დარბილლების.



გამოცანებისა: მამალი, ცა და ვარსკვლავები, წელიწადის
ოთხი დრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და
ზამთარი.





სურათები



გაზაფხული.

ოცსლდება მკვდარი ბუნება,
ტურფათ ყვავილობს მხარეო,
ვარ-ყვავილებით ირთვება
გაცრცვნილი არე-მარეო;
დღისით სხივებს ჰფენს მნა-
თობი,
ღამით კაშკაშებს მთვარეო...

გულს აჯადოებს ბუღბუღის
ჰანგები, ტკბილი მღერაო,
მგოსანსაც ჩანგი მოურთავს
ისმის ციური ჟღერაო...

ზაფხული.

ზეიმს ეძლევა ბუნება,
ბიბინებს მინდორ-ველიო,
მთებიდან მთებზე გადაბტის
ლამაზი, სწრაფი შველიო,
თითქო დარაჯობს მთა-ღრეებს
და იყოს მისი მცველიო...

ვენახში სტირის ლერწამი,
ცრემლებს აწვიმებს ღზენითა,
იქვე განცხრომით პატარა
დარბის, დახტუნავს ქშენითა,
სიოც ნელ-ნელა დაქროლავს,
ბუტბუტებს თავის ენითა...

შემოდგომა.

ერთობ შიშვლდება ბუნება,
ფოთლები სცივია ტყესაო,
გულსა გიწყლოლებს წამისწუმ
ქარის ქვითინი, კენესაო,
სიცივეც თან თან მატულობს
ძალა ეკარგვის მზესაო...

სამზვერათ გამზადებული
ტყეში დაყმუის მგელიო,
თითქო მსხვერპლსა სთხოვს სოფლელებს
სასტიკი შიშის მგვრელიო,
ქოტიც საზარლათ გაჰკივის,
გაჰკივის გულის მკვლეელიო...

ზამთარი.

ყინვას უპყრია ყოველი,
სიცოცხლის ძარღვი წყდებაო,
ცივ სამოსელში ქვეყანა
ძიგძიგებს, სული ხდებაო...

მზე თვალს არიდებს სამყაროს,
ცაზე ცოტა ხანს რჩებაო,
სულ გაყინულა სიცოცხლე,
სიკვდილის ჟამი დგებაო...

ლ. ძიძიგური.





ქრისტე აღსდგა!

(ჟგებდა)



ერთხელ, მას შემდეგ კარგა დიდი ხანია, საქართველოში ბატონობდნენ ყიზილბაშები. მთელი საქართველოს სამზღვრები ხელში ეჭირათ და როგორც ებრიანებოდათ ისე იქცეოდნენ: ხალხსა ტანჯავდნენ, ხოცავდნენ, ერთის სიტყვით ყოველ გაჭირვებას აყენებდნენ.

ითმინეს ქართველებმა, ითმინეს და ბოლოს მოთმინების ფილააც ავესოთ, შეითქვენ თავად აზნაურები, ჩუმათ მოამზადეს ჯარი, ჩუმათვე იყიდეს იარაღი და ერთს ბნელს ღამეს, თავზე დაეცენ ყიზილბაშების უმთავრეს ჯარს. პირველი იერიშის შემდგომ, უკან გამოიქცენ; ყიზილბაშების ჯარმა კი ბნელაში ერთმანეთი გაეღო.

ხოლო მეორე დღეს მიხვდნენ ყიზილბაშები, თუ რა საშინელი შეცდომა მოუვიდათ, განრისხდნენ და ქართველებს ხელახლათ ომი გამოუცხადეს.

იმ დროს ქართველს ჯარს წინ ჯვარით ხელში მღვდელი ბასილი მიუძღვებოდა, ამხნეებდა მათ და თან ლოცულობდა ქართველი ჯარის გამარჯვებისათვის.

დიდი ბრძოლა და დიდი სისხლის ღვრა მოხდა. ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ისახელა თავი და მამულს მსხვერპლათ შეეწირა. და ბოლოს გამარჯვება ქართველებს დარჩათ.

აპრილის დამდეგს ქართველთა ჯარი სამზღვარზე იდგა და ისვენებდა. თათრები კარგა შორს გაერეკნათ და ის იყო ერთი იერიშიც რომ მიეტანათ სრულებით საზღვარსაც გადააცილებდნენ.

მამა ბასილი მალღობ მთაზე ასულიყო, ჯვარი ქვაზე და-

ესვენებინა და ჰლოცულობდა. დაღამდა. თოფების გრიალი მოისმა, მამა ბასილმა დაინახა, რომ ქართველებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს, თათრის ჯარი სამზღვარს გადააცილეს და სიმღერით უკან ბრუნდებოდნენ. მამა ბასილმა რომ ეს იხილა, მთიდან ჯარს ჯვარი გადასახა და გადმოსძახა: „მომილოცავს, ქრისტე აღდგა, ღღეს ჩვენი აღდგომააო“. ამავე დროს განთიადმა და ამომავალ მზის სხივებმაც თითქოს შესძახეს: ქრისტე აღსდგა!...

ქართველი ჯარის კაცები ერთმანეთს ეხვეოდნენ და აღდგომას ულოცავდნენ.

აღ. იასალაშვილი..





კარმენ სილვა*)



უმინის დედოფალი ელისაბედი, ანუ როგორც მწერლობაში იცნობდენ, კარმენ სილვა, მეტწილათ რუმინეთს და გერმანეთს დასტრიალებდა თავზე, რუმინეთს იმიტომ რომ იქ დედოფლობდა, ხოლო გერმანეთს იმიტომ რომ იქ დაიბადა და თავის საყვარელი ბავშობის ხანა სულ იქ გაატარა. როგორც ფრიათ სწავლული და ღვთისნიერი ადამიანი იგი ცდილობდა ერთა შორის მშვიდობიანობის და სიყვარულის დამყარებას. გერმანეთის უკიდურესი მოტრფილე ოდნავაც არ შეეყოყმანებულა იმ საკითხზე რომ საფრანგეთთან კარგი განწყობილება დამყარებულიყო. „ამ ორ ერის დაახლოვება, მათ შორის სიყვარულის

*) რუმინის დედოფალი ელისაბედი, რომელიც ცნობილია ლიტერატურაში კარმენ სილვას სახელობით, დაიბადა 1843 წელს და ცნობილია მსოფლიო მწერლობაში, როგორც თავის მომხიბლავი ზღაპრებით, ისეც რომანებით და ისტორიული დრამებით. მეტათ განვითარებული იყო და ხოლო დროს ბევრი წიგნების კითხვით დაბრმავდა კიდეც.

განმტკიცება თავდები იქნება ქვეყნიერებაზე მშვიდობიანობის დამყარებისათვის.“ უთქვამს ხშირათ კარმენ სილვას. სათნოება, მოწყალების გაცემა, მშვიდობიანობის მოციქულობა,—აი უმთავრესი ღირსებანი ამ სასიქადულო მგოსან ქალისა, რისთვისაც მის ერს ასე რიგათ უყვარდა და ქვეყნიერებაც აღმერთებდა. კარმენ სილვას ნაწარმოებს ერთის თვალის გადავლევით ვატყობთ, რომ აქ გულთან და გრძნობასთან უფრო გაქვთ საქმე, ვიდრე ხელოვანთან.

აი ჩემს წინ მის თხზულებათა რამდენიმე წიგნია, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თვითეულს ნაწარმოებში იგი ცდილობს თავისი ფიქრნი და ზრახვანი გაგაცნოთ, სწორეთ ამიტომ სწერს და არა იმიტომ, რომ მოგხიბლოსთ, თავი შეეცუვაროთ. მისი სიხარული, მისი აღტაცება მხოლოდ კეთილის გარშემო დატრიალებს, ჰნარობს სიკეთის გამარჯვებაზე. აღტაცებულია თავის ნაწარმოებით არა იმიტომ რომ ღიდებას მოუპოვებდა იგი, არამედ იმიტომ, რომ მკითხველებისათვის სასარგებლო იყო.

უნდა ნახოთ კარმენ სილვას პოემები. რა კეთილშობილური აზრებია გაფანტული და ჩაქსოვილი შიგ!*) მარტო ნაწერის სათაურებიდანაც მიხვდებით თუ რას ეტრფის იგი. აი ავიღოთ მის თხზულებათა თუნდ ეს ლექსთა კრებული:**) „ჩემს ქვეყანას“, „ბავშვებს“, „სალამი რეინს“, „სათნოება“, „ოცნების ქვეყანა“, „ღვთაებრივი ბავში“ და მრავალი სხვა. თვითეული მათგანი სავსეა სიყვარულით, აუწყრელი სინაზით. განსაკუთრებით საშობლოს სიყვარული მის ოცნების საგანს შეადგენს. რეინი,—მისაღმება, გამოთხოვება, რად უყვარს, რა მოხდა! რით მოაჯადოვა ამ მდინარე რეინმა? რა და ის, რომ ესაა მისი აკვანი, ამან დაუმღერა პირველი ნანინა, მის ველზე გაიფურჩქნა მისი ტკბილი ღიმილის ყვავილი, მისი ოცნება. მის ზვირთთა თამაშში სწავლობდა საიდუმლოთა ამოცანას. კარმენ სილვას მარტო პოეზიაში არ უცდია თავისი ნიჭი. მი-

*) მისი თხზულება „ომული“ არის ნათარგმნი ან. თუმანიშვილი-წყერეთლისაგან და დაბეჭდილი იყო „ნობათში“ 1884 წ.

***) ესარგებლობ მშვენიერი ფრანგული თარგმანით, რომელიც თვით კარმენ სილვას შესწორებული და მოწონებული იყო.

სი მოთხრობანი ორმოც ტომზე მეტს შეიცავს. აქვს აგრეთვე ფილოსოფიური წერილები. თავის თხზულებებში კარმენ სილვა იტანჯება. საზოგადოთ ტანჯვა ბოროტ სულთათვის წყევლა-კრულვის მოძღვრობას ნიშნავს, მაგრამ ისეთ სათნოთათვის, როგორც სილვა იყო, ტანჯვა მხოლოთ და მხოლოთ სიყვარულის ქადაგებასა ნიშნავდა, მისი ტანჯვის შედეგი იქნება მაშინ გამოჩენილიყო, თუ კი ღინმე აღმოჩნდებოდა ისეთი ძლიერი, რომ შესძლებოდა მისი ოცნება და სინამდვილე ერთმანეთთან შეეგუებინა. სათნო დედოფალი წრფელ ოცნების სამთავროში საშინელს ობლობას განიცდიდა. ცხოვრებამ და მწარე გამოცდილებამ შეასწავლა, რომ ამ ქვეყნათ მხოლოთ ერთი ბედნიერება არსებობს—ეს ადამიანისაგან მოვალეობის შესრულებაა. ამავე ქვეყნათ არის მხოლოთ ერთი ნუგეში—ეს არის შრომა; დასასრულს მასში არის აღტაცება, სიხარული, რომელიც გამოიხატება მშვენიერებაში. სათნო დედოფალმა სამი დიადი მცნება კეკლუც თაიგულათ შეჰკრა და მისი სიცოცხლე ამ სამ ყვაილში გაიფურჩქნა, რომელიც ბოლოს ყვაილებათ მოჰფინა მთელ მსოფლიოში.

დ. კასრაძე.



პაუნა და ტანესი.

(მოთხრობა კარშენ სილვასი)



მაყი იყო, ძლიერ ამაყი მშვენიერი პაუნა. ტყუილათ კი არ ჰქონდა დიდრონი შავი თვალეები, ისარივით გადაჭიმული წარბები და პატარა კეხიანი ცხვირი! ტუჩები ცოტათი მომსხოვები ჰქონდა, მაგრამ მშვენებით მოლიმარი და როცა იღიმებოდა და ლაპარაკობდა უჩანდნენ მარგალიტისავით მსხვილი კბილები, გრძელი შავი ნაწნავები გველივით ჰქონდა შემოხვეული ლამაზ თავზედ; ხალხი ხუმრობით უძახდა იმას „მეფათ ქალთა შორის“, როდესაც ის თავის განიერი ბეჭების რხევით, ამაყად თავ აღებულთ, მიდიოდა ამხანაგებთა შორის.

პაუნა არ ამაყობდა და თავს მალლა არ იჭერდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ტანესი მიუახლოვდებოდა სალაპარაკოთ. სხვას კი ვისმე რომ გეგებდნა ვახუმრება ან აღერსი, ის მაშინვე გაწითლდებოდა და გათამამებულს გულსატკენ პასუხს მიუგებდა.

ყმაწვილ კაცობას ძრიელ შურდა მისი საქმრო ტანესის ბედნიერება. მაგრამ იმ დროს ომიანობა იყო და ტანესი ჯარს უნდა გაჰყოლოდა მდინარე დუნაიზედ. პაუნა თავის მღელვარებას მალამდა.

პაუნას ყური მახვილად ჰქონდა ომის მსვლელობის შესატყობლათ და როცა გაიგო, პირველი შეტაკების ამბავი და სისხლის ღერა მოხდაო, კინაღამ არ წაიქცა და სასოწარკვეთილებით კედელს მიეყრდო. მთელი ღამე არ სძინებია, სულ თვალწინ ედგა, დაჭრილი, სისხლში მოსვრილი, სულთმობრძავი თავისი ტანესი.



ასე შეწუხებული იჯდა თავის ლოგინზედ და ვერ ხედავდა, რომ იმის ფანჯარასთან ვიღაც შესდგა და უყურებდა ფიქრით მოკულოს, მწუხარებით გაოცებულს, მუხლებზედ ხელებ დაყრილ და თვალზე დანამულ ლამაზ ასულს... შუშა ვიღამაც დააკაუნა. პაუნა შეკრთა, წამოხტა, თვალები დააშტერა ფანჯრის გარეთ გამეფებულ სიბნელეს და თითქო ტანესი მოეჩვენა... მალე ხმაც გაიგონა.

— პაუნა, გთხოვ ძვირფასო, გამოდი ჩემთან, ნუ გეშინიან, მე ვარ, ტანესი!

პაუნამ კარები გააღო, კარში გავარდა და იგრძნო, რომ ხელები მოხვიეს. მაგრამ ქალმა ხელი მოიშორა და შეეკითხა:

— მართლა შენ ხარ? თუ დამცინის ვინმე?

— რას ამბობ, ჩემო პაუნა! აი გაშინჯე შენი ბეჭედი და ყელზედაც შენი თეთრი შანა...*) მე ვერ მოვიტოვებ. მინდოდა მენახე... გამეგო ხომ არ მიღალატე...

— ჯარიდან გამოგადგეს?

— გამოგადგეს?...

— მაშ, როგორ გაჩნდი აქ? განა ომი გათავდა?

— არ გათავებულა, ისევ იბრძვიან,—მე გამოვიპარე შენ სანახავათ, ჩემო პაუნა.

— გიყვარვარ?

და პაუნამ გადიხარხარა. მწარედ გადიხარხარა:

— შენ გგონია, რომ მე გამახარებს შენი გამოპარვა, ჩემი სატრფოს მუხანათობა?... შორს ჩემგან!

— როგორ? ეს არის შენი სიყვარული, რომ კვლავ მგზავნი სასიკვდილოთ...

— გამეცალე! თავის დღეში არ ეღირსები შენ ჩემ ცოლობას!..

— შენ სხვა გიყვარს?

— არა, ტანეს, მე მხოლოდ შენ მიყვარდი და მეყვარები, მაგრამ რომ მცოდნოდა შენ მშიშარა ხარ!.. აქ პაუნამ თვალზედ ხელები მიიფარა და საშინლად აქვითინდა.

*) შანას თეთრ ფულს ეძახიან, რომელსაც ავათმყოფს ყელზე შეაბმენ ხოლმე. უნდა მერე შეიხსნან და შესწირონ ეს ფული იმ ხატს, რომლის კარსაც აქვთ შეტეხული მისვლა.

— მე კი მეგონა სიხარულით მიმიღებდი, დამმალავდი, გადამარჩენდი...

— სირცხვილი! შეჰყვირა ქალმა, მრცხვენთან, რომ მე შენი დანიშნული ვარ... უმალ შესაძლებელია იმ მთას—ბუჩქედის ცეცხლი მოედოს, მანამ გამოქცეულს პაუნა გაჰყვეს ცოლათ.

— მაშ კარგი, შენ მნახავ მხოლოდ მკვდარს, ან დამახინჯებულს!

ქალ-ვაჟი პირის-პირ იდგნენ და იმათი თვალები ბნელაში ნაპერწკლებს ჰყრიდნენ.

უცებ მაღლიდან ცეცხლის ალი გამოჩნდა და მთელ კლდოვან მთას ბუჩქედის თითქო ცეცხლი მოედო, გარშემო მძლავრი შუქი მოეფინა. ქალ-ვაჟი გაქვავებულივით იდგნენ.

აქა იქ სოფელში კარები გაიღო, ხალხის ყვირინა მოისმა: „ტყე იწვის!“ „ტყე იწვის!“ ძაღლები ყმუოდნენ, მამლები ყიოდნენ...

პაუნამ ხელი წაავლო ყმაწვილ კაცს და მძლავრათ გაიქნია.

— დაილუბე! სირცხვილით ვიწვი!

საჩქაროდ შევარდა სახლში და კარები მოხურა, სანთელი გააქრო და სიბნელიდან თვალს ადევნებდა, როგორ ეფარებოდა სახლის ჩრდილებს ტანესი და მიიპარებოდა.

იმ დღიდან ყველანი ატყობდნენ, რომ პაუნა საშინლათ გამოიცვალა, გაყვითლდა, ღიმილი აღარ ანათებდა იმის ლამაზ ტუჩებს. გაჩუმებული, დაღონებული მუშაობდა და დაღალულ დაქანცულ სახეს ჰის ცივი წყლით იგრილებდა.

მაღე მოვიდა ამბავი, რომ საშინელი ბრძოლა იყოვო. პაუნა სამუშაოდან დაბრუნდა, საჩქაროთ შეჰკრა თავშალში შემწვარი გოგრა და ჭადის პურები და როდესაც დედამ ჰკითხა თუ რათ ამზადებდა საგზალს, უპასუხა:

— მაღე მოვალ, ნუ შესწუხდები. და საჩქაროთ გავიდა.

ბინდ-ბუნდი იყო, განივრათ გაშლილ ბრძოლის ველზედ ათასობით დაქრილნი ეყარნენ, ცხენები ფართხალებდნენ კაცებთა გვამებს შორის... ცოტა მოშორებით, მინდვრის ბოლოს, ცეცხლების გარშემო დაღალულ-დაქანცულნი მეთამარნი ისხდნენ და ყურს არ უგდებდნენ დაქრილთა კვნესას. მკვდრებთა შუა თავ ჩაღუნული დადიოდა მაღალი ქალი და ეძებდა



თავისს ტანესს. ბევრს დაკოდლოს პირი გაუსველა, ბევრს დავრდომილს ნუგეში სცა. შუა ღამე იყო, საშინელო სურათს ანათებდა ბაღრი მთვარე, ქალი კი კვლავ დადიოდა მკვდრებთან შორის და ეძებდა, ეძებდა თავის სატრფოს და კვნესოდა: ტანეს, ჩემო ტანეს!

ხშირათ ხმას აძლევდა კვნესა უბედურთა და ისიც წყალს ასმევდა, ნუგეშს აძლევდა..

განთიადმა მოატანა, ცა თეთრთებოდა. რალამაც გაიბჰყვირა, ქალი მიუახლოვდა, გვამი თითქმის შიშველი იყო, ხელზედ კი ბეჭედი უბრწყინავდა და თან იმავე ხელით რალასაც მაგრა მუჭავდა.

— ტანეს! შეჰყვირა პაუნამ, როდესაც იცნო თავისეული ბეჭედი და მუხლებზე დაეცა, მაგრამ სისხლით მოსვრილი სახე უცნობი იყო. ქალმა პირი მობანა და თვალი დაუბნელდა. ხმლის ბასრი პირით ჩამოკვეთილი ჰქონდა ორთავ თვალი და ცხვირის ნესტოები! მალე სახეზედ კვლავ სისხლი წასქდა. პაუნამ წყლით ტუჩები დაუსველა, სახის კრილობა თავსახვევით მოუკრა, სისხლი შეუყენა. დაჭრილი გონს მოვიდა; ჰაერში ხელების ფათური დაიწყო, პაუნას სახეს ხელები შეახო და მძლავრათ ამოიკვნესა:

— ძვირფასო პაუნა, ოდნავის ჩურჩულით წარმოსთქვა, — მე ბრმა ვარ, რალათ მინდა სიცოცხლე, ვის რალათ უნდივარ? მიმანებე, სიკვდილის ღირსი ვარ!

— უნდიხარ, უნდიხარ შენ პაუნას! შენ ჩემი საყვარელი ხარ. მე მალე შენი მეუღლე გავხდები... ეხლა კი გაჩუმდი, გაჩუმდი სუსტათა ხარ!

ბევრმა კვირამ გაიარა ამ შეხვედრის შემდეგ. პაუნა დილიდან საღამომდე გვერდს უჯდა ავათმყოფს და მოუთმენლათ ელოდა იმის განკურნებას.

სოფლის ქუჩაზე მიდიოდა სალდათის შინელში გახვეული ბრმა, გულზედ ნიშანი ჩამოკიდებული, ის ხელდაჭერილი მიჰყავდა ყმაწვილ ქალს და გამვლელ-გამომვლელს ეუბნებოდა:

— ეს ჩემი საქმროა, გმირი მეომარი და აი გულზედ გამარჯვების ნიშანიც ჰკიდია!

— ნიშანი სახეზედაც! მწუხარებით დაუმატებდა ხოლმე ტანესი.

თავისდღეში იმ სოფელში არ ყოფილა ისეთი მხიარული და მრავალ წვეულთა დასწრებით ქორწილი, როგორც მშვენიერს პაუნას და ორთავ თვალთ ბრმა ტანესისა იყო.


პატარძალი სუყველას სიცილით ეუბნებოდა:— მე ვამაყობ, ჩემი ქმარი გმირია! მე კი ღონიერი ვარ და ორთავეს წილად ვიმუშავებ.

ექ. გაბაშვილისა.





როგორ ჩნდება კვერცხში წიწილა?



ელავ, ხელავ, სანდრო, რა ლამაზი, რა მშვენიერი წიწილები გამოჩეკა ჩვენმა თეთრმა დედალმა? შეხედე ერთი, რა პატარები არიან და რა მარჯვეთ დაზღვევენ დედას და ჰკენკენ ღომის მარცვალს? მხოლოდ დღეს გა-

დმოსხა წენემ ბუდიდგან ახალი გამოჩეკილები. ეუბნებოდა ნუცა თავის უფროსს ძმას, რომელიც აივნებიდან ჩამოდიოდა წიგნით ხელში, რომ იქვე, ეზოში, დიდ კაკლის ხის ქვეშ, გაგორებულიყო წიგნის საკითხავათ.

სანდრო მივიდა ნუცასთან და სიამოვნებით დააქკერდა პატარა წიწილებს, რომელსაც ნუცა ღომის მარცვალს უყრიდა და ისინიც სისწრაფით ჰკენკდნენ.

სანდრო ეს სამი წელიწადია სოფელში არ ყოფილა, რადგანაც რუსეთში სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში და ეხლა სტუდენტობა ზემო იმერეთის სოფლის დახატული ბუნებით. მშვენიერი ზაფხულის დილა იყო და მართლაც, მეტად ლამაზი იყო მალლობზე გადმოფენილი, გაშლილი დიდი ეზო, ვეებერთელა, ას წლოვანი კაკლის ხეებით დაჩრდილული! ყოველივე სოფლის ცხოვრება და მისი მოვლენა ასიამოვნებდა სანდროს და ეს პატარა სურათიც, რომელიც მის თვალ წინ იშლებოდა, მოსწონდა და აკმაყოფილებდა. თავის პატარა და, ნუცა, მას მეტად უყვარდა. ან კი როგორ შეიძლებოდა ნუცა არ შეჰყვარებოდა, არა თუ ძმას—უცხოსაც კი. ლამაზ გოგონას თავისი შავი დიდრონი თვალებით და ხუჭუჭა თმით ყველა აღტაცებაში მოჰყავდა, ვინც კი ნახავდა. ნუცა შვიდი წლისა იყო, მაგრამ ისეთი ჰკვიანი და გონიერი, რომ ბევრს ათი წლის ბავშვსაც არ ჩამოუფარდებოდა.

— ღმერთო, ტიტინებდა ნუცა და თან ჯამზე წყალს უსხავდა წიწილებს, „ნეტა როგორ გაჩნდა კვერცხში წიწილა,

მე ნამდვილათ ვიცი, რომ როცა თეთრ დედალს კვერცხებში ჩაულაგეს საბუდარში და ის პირველათ კვერცხებზე დაჯდა, იმ კვერცხებში წიწილები არ ყოფილა.

— აბა შენ რა იცი, რომ არ ყოფილა? ჰკითხა ძმამ.

— როგორ არ ვიცი. მე იქ ვიყავი, როცა დედა კვერცხებს ითვლიდა საბუდარში ჩასალაგებლათ. მაშინ ერთი კვერცხი გაუვარდა ხელიდან და გატყდა. მე დავინახე, რომ იმ კვერცხში მარტო ცილის გულის მეტი არა ყოფილა რა. ის კვერცხი ისეთივე იყო, როგორც ისინი, რომელიც შენ ამ დილაზე ნენემ მოგიტანა თოხლოთ მოხარშული და შენ ისე გემრიელათ შეყლაპე.

— აი, ხომ გითხარი, არ იცი მეთქი. იმ კვერცხშიაც, რომელიც დედას ხელიდან გაუვარდა და იმაშიაც, რომელიც მე ნენემ მომიტანა, იყო წიწილი, მაგრამ ისეთი პატარა, ისეთი, რომ შენ ვერ შეამჩნიე.

ნუცა გაკვირვებით და ეჭვით შეცქეროდა ძმას. ეტყობოდა, რომ არ სჯეროდა ძმის სიტყვები.

— მეხუმრები, განა, სანდრო? ბოლოს ჰკითხა ძმას.

— არა, ღმერთმანი, არ გეხუმრები, აბა წადი სამზარეულოში, მომიბრუნინე ერთი კვერცხი, თეფში და მე გაჩვენებ იმ პატარა წიწილს, რომელიც ყოველ კვერცხშია.

ნუცა გაიქცა და საჩქაროთ მოუბრუნია ძმას კვერცხი და თეფში.

სანდრო დაჯდა იქვე კაკლის ხის ქვეშ, მოისვა გვერდით ნუცა და აიღო კვერცხი ხელში.

— აი, ჩემო ნუცა, ხედავ, კვერცხს ნაჭუჭი რა მაგარი აქვს? აბა, შენ, ჩემო ჰკვიანო, მითხარი რისაა კვერცხის ნაჭუჭი?

ნუცა გაჩუმებული იყო და თვალებში შეჩერებოდა ძმას მის ნიშნათ, რომ მე არ ვიცი და შენ მითხარია.

— კვერცხის ნაჭუჭი, ჩემო ნუცა, კირისა არის, დაწმენდილი, დასუფთავებული კირისა. ხედავ, ნაჭუჭს რომ პატარა პატარა ნახვრეტები აქვს? ამ დახვრეტელებიდან ჰაერი შედის კვერცხში, რომ წიწილს კვერცხში ყოფნის დროს სუნთქვა შეეძლოს, ხომ იცი, რომ უჰაეროთ ერთ წამსაც ვერ გასძლებს ვერა სულიერი. წიწილიც ვერ იცოცხლებს და ვერ გაიზრდება.

კვერცხში, რომ ნაჭუქს ჰაერის სამუშაო ნახვრეტები არ ჰქონდეს. სანდრომ ამოიღო ჯიბიდან გასადიდებელი მინა და დაადო კვერცხს.

— აი, ამით გახედე კვერცხსა, ეს ისეთი შუშაა, რომელიც ყოველ საგანს უფრო დიდათ აჩვენებს კაცს, ვიდრე ნამდვილათ არის. აი კვერცხიც გაადიდა. ხედავ, რამოდენა მოსჩანს მინაში? აი კვერცხის ნაჭუქის დახვრეტელებიც რა დიდათ მოსჩანან. ახლა ხომ უკეთ ხედავ იმათ, არა?

— მაგას კი კარგათ ვხედავ, მაგრამ მე წიწილის ნახვა მეჩქარება, ის მანახვე.

— ოჰ, რა მოუთმენელი ხარ, ღიმილით უთხრა ძმამ. იმასაც ეხლავ გაჩვენებ.

სანდრომ კვერცხი გაპტეხა, ცილა თეფშზე დაასხა და მრგვალი ყვითელი გული ხელის გულზე დაიდო.

— ხედავ, კვერცხის გული როგორ მრგვლათ დარჩა, ეს იმიტომ, რომ კვერცხის გული თხელ ბადეშია გახვეული და, სანამ ბადე არ გაიხვევა, გულიც არ დაიქცევა. ხედავ ამ ბადეს ერთ ადგილს მუქი ნიშანი აქვს, ეს ნიშანი არის წიწილი, ანუ



უკეთ ვთქვათ, მომავალი წიწილა. ეს პატარა მრგვალი ნიშანი როცა კვერცხს საჭირო სითფო ექნება, მაგალითად ქათმის მკერდ ქვეშ, როცა იმატებს, იზრდება და ბოლოს იქცევა წიწილათ.

— ნეტავ ისეთი ბედი მომცა, ჭიქის ნაჭუქიანი კვერცხი მანახვა და ჩემი თვალით მაყურებინა, თუ ეს პატარა, ღომის მარცვლის ოდენა ნასახი, როგორ გარდაიქცევა წიწილათი! შეპყვირა ნუცამ.

— გინდა მაგ სურვილს აგისრულებ? უთხრა სანდრომ.

— როგორ, განა შეიძლება ჭიქის ნაჭუქიანი კვერცხი? გაუკვირდა ნუცას.

— არა, რასაკვირველია მაგისთანა კვერცხი ქვეყანაზე არ არის, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ჩვენი თვალთ ვნახოთ, როგორ თან და თან ეს პატარა ნასახი გარდაიქცევა წიწილათ. შენ მხოლოდ დედას შეეხვეწე, დღევანდელი დასმული დედალი თავის საბუდარით და კვერცხებით ჩვენ გვაჩუქოს და შენ სურვილს მაშინ ადვილათ აგისრულებ.




ნუცა იმ წამსვე გავარდა დედასთან და ღრეჭით დაუწყო თხოვნა, რომ დედალი იმის ბუდე-კვერცხებიანათ ეჩუქებინა იმისთვის და სანდროსთვის და ისიც აუხსნა თუ რისთვისაც უნდოდა. დედას ძალიან ენანებოდა ნუცას ხელში დედლის და კვერცხების ჩაგდება, მაგრამ ისე დაეინებოთ სთხოვდა თავისი საყვარელი გოგონა, ისე მხურვალეთ ჰკოცნიდა, რომ უარის თქმა ვერ მოახერხა და აჩუქა. გახარებული ნუცა გაექანა ძმასთან, რომელიც ისევ კაკლის ხის ქვეშ დაუხვდა.

— ვიშოვე, სანდრო, მაჩუქა დედამ, სირბილისაგან აქო-შებული ყვიროდა ნუცა. აბა, მაჩვენე ახლა.

— ნუცა, შენ ხომ იცი, რომ კვერცხი ოცდა ერთ დღეს უნდა იდოს საბუღარში, დედის მკერდ ქვეშ, რომ ეს პატარა ნასახი წიწილათ იქცეს. ჩვენ თან და თან, ყოველ ორ-სამ დღეში, გავტებთ თითო თითო კვერცხს, რომელსაც ჩვენი საბუღარიდან ამოვიღებთ და ვნახავთ, რა ცვლილება ხდება ამ პატარა ხანში. რომ უფრო კარგათ დავაკვირდეთ და შევნიშნოთ ის ცვლილება, ყოველ ვატებთ კვერცხის ნასახს დაგა-

ნახებ გასადიდებელ შუშაში, რომელსაც მიკროსკოპი ჰქვიახ. გახსოვს გუშინ მიკროსკოპში რა დიდად გამოჩნდა პატარა ბუზი? ეს კვერცხის ნასახიც მიკროსკოპში ერთი ორად უფრო დიდათ გამოჩნდება, ვიდრე ნამდვილათ არის. როცა კვერცხში იმდენათ გაიზრდება წიწილი, რომ თვალითაც კარგად შეამჩნევ ცვლილებებს, მაშინ მიკროსკოპს თავი დავანებოთ. აბა, წავიდეთ ეხლა და ეს პატარა ნასახი ვნახოთ მიკროსკოპით.



სანდრო და ნუცა ავიდნენ სახლში, რომელშიც რამდენიმე ოთახი იყო მოთავსებული. ერთი მათგანი საკუთრათ ჰქონ-

და მითვისებული სანდროს. შევიდნენ სანდროს ოთახში. ფან-



ჯრის წინ იღვა მაგიდა და ზედ მიკროსკოპი იდგა. მაგიდის უჯრაში სანდროს ეწყა ყველაფერი მოწყობილება მიკროსკოპისა.

სანდრომ აიღო ერთი ოთხ-კუთხი პატარა ბრტყელი შუშა, გაასუფთავა წმინდა ტილოთი და ზედ ძალიან ფრთხილათ კვერცხის გულიდან ამოღებული ნასახი (Зародышь) დადო ზეიდან დააფარა მეორე ისეთივე შუშა, მხოლოდ ცოტა ამობერილი, რომ კვერცხის ნასახი არ გაქყლეტილიყო. მერე შუშა ნასახით შესდო მიკროსკოპში.

— აბა, ეხლა ჩახედე, ნუცა, და მითხარი, რას ხედავ. ნუცა დიდხანს იყურებოდა მიკროსკოპში და ხმას კი არ იღებდა. ბოლოს სთქვა.

— სანდრო, ეს იმოდენაა და ისე არ გავს იმ ნასახს, რომელიც ჩვენ კვერცხიდან გამოვიღეთ, რომ ვერ დამიჯერებია, რომ ეს ის არის.

— სწორეთ ისევ ისაა, მიუგო სანდრომ, — მაგრამ ასჯერ გადიდებული და როცა ამდენათ გადიდებული მოსჩანს, რომ ეხლა მისი ისეთი ნაწილები დაეინახეთ, რომელსაც უბრალო თვალთ ვერ ვხედავთ.

ნუცამ ისევ დაიწყა მიკროსკოპში ცქერა.

— მე აქ ეხლა ორ ნაკეცს (пластинка) ვხედავ. ერთი ქვეით არის და მეორე ზეიდან სახურავსავით ახურავს,

— მართლა, კარგად შენიშნე. ეს ნაკეცები პატარა-პატარა ბურთულიდან (шарики) შედგებიან. ახლა ის უნდა იცოდე, რომ ამ ორ ნაკეცს შუა ცარიელი ადგილია, რომელიც კვერცხის შუა გულს მილით უერთდება. ეს იმიტომ რომ, როცა ეს ნასახი (зародышь) ზრდაში შევა, მის საზრდოს კვერცხის გული და ცილა შეადგენს და ეს მილი ღარია ამ საკვებების მისატანათ. აბა, ეხლა წადი და ჰკითხე დედას, თუ ჩვენი დედალი რამდენიმე საათის დაჯდომილია კვერცხებზედ, ერთი კვერცხი ამოაღებინე საბუღრიდან და მომიტანე.

ნუცა გაიქცა და ცოტა ხნის უკან მოარბენინა თბილ-თბილი კვერცხი.

— დედა ამბობს, ხუთი საათიც იქნება, რაც ჩვენი დედალი კვერცხებზე ზისო.



სანდრომ ისევ ისე ფრთხილათ გამოიღო ახალი კვერცხი-დან ნასახი და მოამზადა მიკროსკოპში ჩასადებათ. როცა ჩაღო, ჯერ თვითონ დაათვალიერა და მერე ნუცას უთხრა:

— აბა ეხლა ჩახედე და თუ მეტყვი, რა განსხვავებაა წინა კვერცხას ნასახში და ამის შუა, ძალიან ჭკვიანი გოგონა იქნები, ჩემო ნუცა.

ნუცა გულდასმით ჩააცქერდა მიკროსკოპს, დიდხანს უყურა და ბოლოს სთქვა:

— შე სრულებით ვერაფერ განსხვავებას ვერა ვხედავ, ისევ ის ორი ნაკეცია, რომელიც წინა ნასახში იყო.

— გახსოვს, წინათ ვთქით რომ ნაკეცები პატარ-პატარა ბურთულებიდან შესდგებაო, წინა ნასახში მეტი იყო ეს ბურთულები თუ ეხლა?

— მგონი ეხლა მეტია.

— დიახ, მეტია და სხვანაირები არიან. წინა ნასახში ეს ბურთულები ერთიანი იყვნენ, გამოვსებული ერთ გვარი ნივთიერებით. ეხლა კი ყოველი ბურთული პატარა კვერცხუკასა ჰგავს (ячейка): სუფთათ მგრვალი მისი ბადე გავსებულია სითხით და შიგ პატარა ბირავი სცურავს. ხედავ?

— ვხედავ, ვხედავ.

აი ამაში მდგომარეობს პირველი გაღვიძება და ამოძრავება კვერცხში ნასახისა. როცა მას საკმაო სითბო მოხვდება. აბა ეხლა წადი, ითამაშე. ჩვენმა დედალმაც ათბოს კვერცხები და ვნახოთ სამი დღის შემდეგ რა ცვლილება მოხდება ჩვენ ნამუცეცა ნასახში.

(შემდეგი იქნება)

ევ. ჭიჭინაძისა.

სამშობლოს ნუგეში.

(გუძღვნა ნიკო ნათაძეს)



ემო ლამაზო სამშობლოვ,
უმანკო ტურფა იაო,
მარგალიტისა ცრემლები
რა უხვათ დაგიღვრიაო!?

ნუ სტირი, შენი კნესამე,
ჩემო სამშობლო მხარეო,
გულს ნუ გაიტეხ, იკმარე
რაზომცა ცრემლი ღვარეო.
საცაა წამოვიზრდები,
არ გავახარებ მტერსაო,
ნახათ თავს შემოგველები,
ვით სიო მწვანე მთებსაო,
საფუძვლიანათ ვისწავლი
შენს მონარნარე ენასა,
მერცხლისებრ ტკბილის ჭიკჭიკით
მოგგერი საამო ღხენასა,
შენს გულის დარდებს ვუამბობ,
გამოვალვიძებ ყველასა,
ჩაგრულ ძმებს მივეშველები
შევეუშრობ ცრემლთა დენასა,
მტლად დაგედები, დავდნები,
გავიქარვდება ნალველი,
ზვარაკათ შეგეწირები
შენი პატარა ქართველი...
მაშ ნულარ აფრქვევ ცრემლებსა,
მაგ თვალებს ვენაცვალეო,
ჩემო სამშობლო, აღმზრდელიო,
ტურფა ედემის მხარეო!..

ბაგრატ ბეთანელი



ფ ა რ ო .

(თარგმანი)



1812 წ. დაიწყო საშინელი ომი. ერთი სოფლელი ახალგაზრდა სახელად ჟანი მოულოდნელათ წაიყვანეს ომში ჯარის კაცათ. იმ დროს საფრანგეთის მეფეთ იყო ნაპოლეონი და ვინც მას ჩაუვარდებოდა ხელში ის

სახლში დაბრუნებას ვეღარ ელირებოდა, რადგანაც ნაპოლეონი ყველა სახელმწიფოს ეომებოდა. რა გაეწყობოდა, ჟანი გამოეთხოვა თავის მშობლებს, მეგობრებს, უკანასკნელათ კიდე შეხედა სახლს, რომელშიც დაიბადა და სცხოვრობდა, ბაკს, რომელშიც ცხვრები და ძროხები ბლადენ და თვალში ცრემლ მორეული, გულ დათუთქული გაემგზავრა ქალაქისაკენ, სადაც ჯარი იდგა.

სამი ვერსი არ ექნებოდა გავლილი, რომ შენიშნა თავისი მუდმივი თანამგზავრი — ძალლი ფარო. ჯარის კაცს უნდოდა ძალლი უკან გაებრუნებინა და მიუთითა სახლისკენ, მაგრამ მან არ გაუგონა. მერე გაჯავრდა, ქვაც კი ესროლა, მაგრამ ის მაინც არ ეშვებოდა, უკან მისდევდა.

ჟანს ძალიან უყვარდა თავისი ძალლი და მისი ჯიუტობა ახარებდა კიდევც.

— რა ვქნა! წამოიძახა ბოლოს ჟანმა. — შენთვის უარესია! წამოდი, თუ გინდა. შენ მომაგონებ ხოლმე სამშობლოს, ჩვენ სახლს, ოჯახს...

ფარო მოჰყვა მხიარულათ ხტუნაობას და წინ გაექანა.

რამდენიმე დღის უკან ქალაქში, ყაზარმების ეზოში, სადაც ჯარის კაცებს ავარჯიშებდენ არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. იმ დროს, როდესაც უფროსი დინარი ათვლიერებდა ახალ ჯარის კაცებს და ჟანიც სცდილობდა კარგათ შეეთვისებინა



ახალი წესწყობილება და მწყობრში თამამად მიაბიჯებდა, საი-
 დღანაც გაჩნდა ფარო. როდესაც თავისი პატრონი არა ჩვეუ-
 ლებრივ საქმეზე დაინახა, შეეშინდა, ყუფით მივიარდა ფეხებში,
 ჩაავლო კბილები ბარკალში და მძლავრათ გამოსწია. თანმა
 წაიფერხა და დაეცა.

ყველას გაეცინა

უფროსი მოვიდა თანთან და მკაცრათ ჰკითხა:

— ეს რა ამბავია?...

— ეს... წაიდუღუნა თანმა მორცხვით—ეს, ბატონო, ჩემი
 ძაღლი გახლავს... მას ფარო ჰქვია... მე მწყემსათ გახლდი და
 ეგ ჩემი ძაღლია.

— იქნება გგონია, რომ ხაზინა შეგინახავს მაგ ძაღლს?

— უკაცრავათ, ბატონო, მაგას მე თვითონ ვკვებავ. მე
 ვუყვარ ჩემ კერძს, რომელსაც ყაზარმაში მაძლევენ.

— სალამომდის გაძლევ მხოლოთ ვადას, განაგრძო უფ-
 როსმა, რომ მომაშორო შენი გაბურძგენილი მეგობარი. მე
 მძულს ყოველნაირი წესის დარღვევა. აჩუქე ვისმეს, მოწამლე,
 დაახჩე, ერთი სიტყვით, თვალით აღარ დამანახო, გესმის'?

— შესმის, ბატონო. მოწიწებით მიუგო თანმა.

ამ ბრძანებამ დიდი მწუხარება მიაყენა ახალგაზრდა ჯარის
 კაცს. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. არ დაეჯერებინა
 უმფროსისათვის, — საშინელი სასჯელი მოელოდა, თავის მეგობ-
 რის მოკვლა კი შეუძლებლათ და დიდ დანაშაულობათ მიაჩნ-
 და. ამიტომ გადასწყვიტა თავისი ძაღლი ერთ დიდ სარდაფში
 დაეკეტნა, სადაც არავინ არ შედიოდა. თანი ყოველ სალამოს
 დაძინებისას ჩუმათ მიირბენდა ხოლმე სარდაფთან და მიუტან-
 და საზრდოს თავის ტუსალ მეგობარს, უაღერსებდა, ელაპარა-
 კებოდა და ყოველ გამოთხოვებისას არიგებდა მოეთმინა, ჰკვი-
 ანათ მოქცეულიყო და ჩუმათ ყოფილიყო.

— ხომ გირჩევდი, შე სულელო, სახლში დაბრუნებუ-
 ლიყავ! ეუბნებოდა თანი ფაროს! შენ კი არ გამიგონე! იჯექი ეხ-
 ლა ჩაკეტილში!

ცხადი იყო თანის ასეთი ხერხი დიდხანს ვერ გასტანდა.
 ადრე თუ გვიან გაუგებდნენ და გაუგონრობისთვის დასჯიდნენ
 კიდევ. მაგრამ უცბათ გამოაცხადეს შორეულ რუსეთისაკენ
 გალაშქრება. იმპერატორმა ნაპოლეონმა ჯარში ბრძანება გას-

ცა, რომ მთელ ჯარს ღრეზდენში მოეყარათ თავი, აქ შეერთებულიყვენ და გაელაშქრათ რუსეთის სატახტო ქალაქ—მოსკოვზე.

ყველა დაფაცურდა, შეუდგა საომრათ სამზადისს. ჟანის პოლკი მარტშივე დაიძრა დილა აღრიან, როდესაც დედა-მიწა ისევ თეთრის ყინულით იყო მოფენილი. ცა მოღრუბლული იყო, გზა ჯაგიანი, მინდვრები კი უსიცოცხლოთ და მწუხარეთ გამოიყურებოდენ. მოხუცებული ჯარის კაცები ჩაფიქრებული მიდიოდენ, ახალგაზრდები კი მღეროდენ, ხოლო მათაც ეს სიმღერა ვერ უხერხდებოდათ. თვითეული მათგანი გრძნობდა, რომ იქნება ვერც კი დაბრუნებულიყვენ უკან, თავის სამშობლოში და უკანასკნელათ ხედავდენ თავის ქვეყანას.

— რალაც მოგველის, ლაპარაკობდენ მოხუცებულები. ასე შიარს ჯერ არ წავსულვართ საომრათ! განა კიდევ დავბრუნდებით ჩვენ ქვეყანაში?

მთელს ჯარში მხოლოთ ერთი არსება გრძნობდა თავს ბედნიერთათ. ეს იყო ჩვენი ძველი ნაცნობი ფარო. ტყვეობისაგან განთავისუფლებული, სიამოვნებით ყნოსავდა ცივს ჰაერს, დახტოდა და აღარაფრისა არ ეშინოდა. აქეთაც გაიქცეოდა, იქითაც. როდესაც ჯარი დაბანაკდებოდა ხოლმე, ფაროც სხვა ძაღლებთან ერთათ უვლიდა ქვაბებს გარშემო და მოთმინებით ელოდა პურის ნატეხებს, ძვლებს და სხვა მონარჩენს. მაგრამ ფაროს ვერ ამჩნევდენ ვერც აფიცრები და ვერც ჟანის უფროსი დინარი. ხოლო ჟანი ხედავდა მას. ძაღლიც, დაიძინებენ თუ არა ყველანი, მოირბენდა ხოლმე კარავთან. ჟანიც გამოვიდოდა და უაღერსებდა თავის მეგობარს.

— ო, ჩემო საყვარელო, ერთგულო ფარო! ეუბნებოდა ხოლმე ჟანი, რა კმაყოფილი ვარ რომ შენ ჩემთანა ხარ! რა მოწყენილი ვიქნებოდი უშენოთ!

მინამ რუსეთს მიემგზავრებოდენ, ფარო სულ შიარი ახლო მისდევდა ჯარს. თვით მოსკოვამდის ფიქრათაც არავის მოსვლია რომ ჟანი თავისი ძაღლით მიდიოდა. ერთგული ფარო ნაპოლეონთან ერთათ შევიდა ქალაქ სმოლენსკში. ზარბაზნების ყუმბარების და ტყვიების წვიმაში ფარო თვალს არ ამორებდა თავის პატრონს. სოფელ ბოროდინოსთან ხან ერთ დაქირილთან მივარდებოდა, ხან მეორესთან, რომ ლოყა აელოკნა ტან-



ჯულისათვის, ან კიდე წყალი მიეტანა ბოთლით, რომელსაც წამ და უწუმ ავსებდა ჟანი მდინარიდან და კისერზე ჰკიდებდა ფაროს, ორჯერ თუ სამჯერ ფარო გოსპიტალშიც კი შევარდა, სტაცა იქ კალთაში ექიმს პირი და წაათრია დაქრილ ჯარის კაცთან.

ერთხელ, როდესაც ფარო ბოროდინოს მინდორში მირბოდა ბოთლით ყელზე, დაინახა თვით ნაპოლეონმა და ღიმილით სთქვა:

— ბრინჯაოს მედალი მიეცით ამ ოთხფეხს სიმამაცეში!

მაგრამ ჩვენი ფარო არაფრათ ავდებდა ამ საჩუქარს, როგორც იყო, გაუსხლტდა ხელიდან შეერია, ხალხში და მალე სულ მიიმალა ბუჩქებში. შემდეგ, როდესაც ფრანგის ჯარი თვით მოსკოვში შედიოდა, ფარო ამაყათ მიუძღოდა ჯარს წინ და გულგრილათ უყურებდა ცეცხლ-წაიკიდებულ მოსკოვის სახლებს. შემდეგ მთელ მოსკოვს მოედო ცეცხლი. მცხოვრებლებმა არ ისურვეს მტრისათვის დაეთმოთ ქალაქი და ამიტომ მოსკოვს ყოველ მხრიდან წაუკიდეს ცეცხლი. ნანგრევებში, ცეცხლის ფერფლში და ულუკმო ჰუროთ ფრანგებს უნდა ედღესასწაულათ თავისი გამარჯვება.

— ეს ჩვენ თავის დღეში არ დაგვმართნია!.. ლაპარაკობდენ მოხუცი ჯარის კაცები. ჯერ ასე შორს არ წავსულვართ და არც ასეთი განადგურებული და ფერფლათ ქცეული ქალაქები აგვილია. ან სად უნდა ვიცხოვროთ აქა და ან რა უნდა ვქამოთ?

ერთხელ, მეტად მკაცრ ყინვაში, უფროს დინარს ბრძანება მოუვიდა უსათუოთ პოლკი როგორმე მიეყვანა მახლობელ სოფლამდინ, რომ აქ თავშესაფარი ეშოვნათ და ცოტათი მაინც გამთბარიყვენ.

მოლამდა. ისეთი სუსხიანი ქარი ქროდა, რომ საცოდავ ჯარის კაცებს თოფებზე თითები ეყინებოდათ, წვერსა და ულვაშებზე კი ყინვის სხებლები ეკიდათ. სიბნელეში აფიცრების ერთმანეთის ძახილი გაისმოდა. აქა იქ კიდე ჯგუფ-ჯგუფათ დახეტიალობდენ დაქანცული ჯარის კაცები. მთელი ჯარი უწესოთ იყო გაფანტული თვალუწვდენელ და თოვლით მოფენილ ველზე... ვაი იმას, ვინც ამ დროს ჩამორჩა! მათ მოელოდა უსახელო სიკვდილი სიცივისაგან, ან მგლებისაგან შექმა.



— ღმერთო, ფიქრობდა უანი, — როდის მოეღება ბოლო ამ უბედურს ლაშქრობას? როდის დავბრუნდებით სახლში?

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ჯარის კაცები მიადგენ ერთ უშველელ მებატონის სახლს. არც ერთი სულიერი აღარ დარჩენილიყო ამ სახლში. საბრალო ჯარის კაცები მთლათ გაყინულიყვენ სიცივისაგან, დაღალული და დაქანცული ძლივს ლა მიათრევენ ფეხებს, მაგრამ როგორც იყო შევიდნენ სახლში, მაშინვე იატაკზე დაეყარნენ, ჩახუტნენ ერთმანეთს და ძილს მისცეს თავი; იმდენი ღონეც კი აღარ შესწევდათ რო დაეღრნათ გაყინული და ქვასავით გამხმარი პური.

უცბათ ერთმა მოხუცებულმა კაპიტანმა წამოიწია, შეწუხებულის სახით მიიხედ მოიხედა.

— ძმებო, წამოიძახა, — ჩვენი უფროსი სადღაა?

ყველამ მწუხარებით შეხედეს ერთმანეთს.

— ალბათ გაიყინა სადმე, წაიზულუნა ერთმა მოხუცებულმა მეომართაგანმა. — ალბათ დაღლილობისაგან გზაში დავარდა და ვერავინ შეამჩნია!

— თუ გზაში დავარდა, ეხლა სულ ერთია დაღუპული იქნება კიდევ; დაუმატა ახალგაზრდა აფიცერმა... ოჰ, რა უბედური ომია! საშინელებაა, საშინელება!

სიჩუმე ჩამოვარდა, თავიანთი უფროსი უყვარდათ და თვითთელი მათგანი გულში გლოვობდა მის დაკარგვას.

— მოიცადეთ, ძმებო, უცბათ წამოხტა ერთი ახალგაზრდა აფიცერი. დავიჯერო ასე ადვილათ დავკარგავთ ჩვენს უმფროსს? განა ეს პატიოსნებაა, ან შეჭფერის მეომარს? დავბრუნდეთ ახლავე უკან! ვისა სურს წამოვიდეს ჩემთან ერთათ საძებნელათ?

ერთბაშათ ვერავინ ვერ გადასწყვიტა პასუხი მიეცა.

ყველა ჩუმათ იყო.

— ჰო, კარგია დაბრუნება ამ ყინვაში, ბოლოს დაარღვია სიჩუმე ერთმა ჯარის კაცმა, — როდესაც ასე დაღალულები ვართ. მერე როგორ, ან სად უნდა წავიდეთ? სად ვიპოვნით უფროსს ამ სიბნელეში. ეს იმას ეგვანება, რომ თივის ბულულში ნეესი ვეძებოთ!

— კვალს ჩვენივე ნაფეხურები გვაპოვინებენ.

— ან ჩვენ კვალს როგორ მივაგნებთ, როდესაც ისევა თოვლს?

ამ დროს იატაკიდან წამოდგა ქანი. ფეხზე ძლივს იდგა.

— მე წავალ მარტო საძებნელათ! მტკიცედ განაცხადა მან. მე თვითონ ვიპოვნე ჩვენ უფროსს.

— შენა? მერე რანაირათ? გაკვირდენ სუყველანი.

— წამოდი, ფარო! დაუძახა ძაღლს და გასწია კარებისკენ. ფარო უკან გაჰყვა.

მაგრამ ქანმა რაღაც მოისაზრა და შესდგა.

— რა სამწუხაროა, რომ უფროსის არავითარი ნივთი არა გვაქვს აქა, ფარო დასუნავედა მას და უფრო მიხვდებოდა თუ რას ვავალბობთ მას. ძებნასაც გაგვიადვილებდა.

— მოიცადე! უცბათ დაუძახა პოლკის მესაყვირემ.— მხოლოდ დღეს გადმომცა თავისი საცვლები შესანახათ, ჩანთაში მიწყვილა! ახლავე მოგიტან!

მართლაც ჩანთიდან ამოიღო ორი ცხვირსახოცი და რაღაც ძონძები, რომელიც ოდესღაც პერანგი უნდა ყოფილიყო—ქანმა მიიყვანა ფარო საცვლებთან.

— მოძებნე, უთხრა ქანმა, — მოძებნე, გესმის!

ძაღლმა ცხვირი მალლა ასწია; შეხედა ქანს, მერე საცვლებს დასუნა, ჰაერი შეიყნოსა და უცბათ გამოვარდა გარეთ. ქანიც თუმცა ძაღლზე დაღალული იყო, მაგრამ უკან გაჰყვა.

ერთი საათის უკან, მთლათ გაყინული, უგრძნობელი, მაგრამ ჯერ კიდევ ისევ ცოცხალი უფროსი დინარი უკვე იწვა მებატონისაგან მიტოვებულ სახლში; მას აუარებელი ფარაჯები ეხურა; აფიცერი და ჯარის კაცები გარს შემოხვევოდნენ. ოთახის გასათბობათ კარები ჩამოეხსნათ, კიბის მოაჯირი აეხსნათ და შეშათ დაეჭრათ. მალე უფროსი გონს მოვიდა და თვალეზი აახილა. როგორ გაოცდა, როდესაც თავი თავისიანებში იგრძნო! ის სიკვდილს გადარჩენოდა, მას ეს არა სჯეროდა სიზმარი ეგონა.

— როგორ, როგორ მიპოვნეთ, ჩემო მამაცო მეგობრებო? ჰკითხა აღტაცებით უფროსმა, როგორ გადამარჩინეთ?

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ, — უპასუხა ერთმა აფიცერთაგანმა. თქვენ გადარჩინათ ჩვენმა ერთმა მეგობარმა.

— რომელმა! ჰკითხა დინარმა.

— ეს გახლავთ ძალლი ფარო!

— რომელ თქვენგანს ეკუთვნის ეს ძალლი?

მაშინ ქანი წამოდგა წინ.

— მე, ბატონო, უპასუხა მან, — თქვენ გიპოვნათ ფარომ. თოვლში ოთხი ვერსის მანძილზე აქედან. მე კი ზურგით მოგიტანეთ აქამდის.

უფროსმა ქანს ხელი გაუწოდა.

— გმადლობ, ჩემო გულადო მეგობარო! უთხრა უფროსმა.

— მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება შენი სამსახური და ვეცდები გადაგიხადო.

—

ხუთი თვის შემდეგ ნაპოლეონის დიდებული ჯარი დაბრუნდა საფრანგეთში. მათ შორის იყვნენ დინარი და ქანი. ერთგული ფარო ერთავათ ფეხ და ფეხ მისდევდა თავის პატრონს. როდესაც დინარის ჯარი ისევ თავ თავის ყაზარმაში მოთავსდა, დაუძახა უფროსმა ქანს და აღერსიანათ ჰკითხა:

— სად არის ეხლა შენი ძალლი, ქან!

— სარდაფში გახლავთ ჩამწყვედელი! მოწიწებით უპასუხა ქანმა. რადგანაც მისი ყოლა ყაზარმაში აკრძალული მაქვს, ამიტომ ისევ სარდაფში დავკეტე!

— შენ მგონი სამშობლოში დაბრუნება გინდოდა?

ქანს შერცხვა და ვერა უთხრა რა.

— მაშ ვეცდები გაგანთავისუფლო, განაგრძო დინარმა. შენ ოცდა სამი წელიწადი კიდე უნდა გეძსახურა მაგრამ, არა უჭირს რა! შენ და შენმა ფარომ დაიმსახურეთ ესა. ყოველ ღონის ძიებას ვინმარ გაგანთავისუფლო!

ნახევარი წლის უკან დინარმა ისევ მოიხმო ქანი, ფაროთი ერთათ.

— ჩემო მეგობარო, მიუბრუნდა დინარი, — დაბრუნდი შენ მშობლებთან და შენ და ფარომ უპატრონეთ ისევ თქვენ ცხვრის ფარას. შენ ეხლა სრულიათ თავისუფალი ხარ, ამა ეს მცირე საჩუქარი ჩემგან და გადასცა ფული. — ხანდისხან მოიგონე ხოლმე შენი უფროსი, რომელიც ვეღარ იხილავდა თავის ძვირფას სამშობლოს, რომ შენა და შენი სახელოვანი ფარო არ ყოფილიყავით.



ამ სიტყვებით უფროსმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო ბრინჯაოს მედალი და ჩამოჰკიდა ფაროს საყელოზე.

— ასე ბრძანა იმპერატორმა! სთქვა უფროსმა და ძაღლს გაუკეთა „ჩესტი“.

ამის შემდეგ უფროსი გავიდა თავის ოთახში. ქანი პატარა ხანს გაჩერდა და შემდეგ გაუდგა გზას. ფაროც უკან გაჰყვა. ვინ მიხედებოდა თუ რამდენი უბედურება გადახდათ თავს ამ ორ წელიწადში ამ ორ მეგობარს.

მარო იაშვილი.





უილიამ შექსპირი.

(მოზრდილთათვის)



უკდავი და დაუვიწყარი ქვეყნათ არაფერი არის.

დროთა ბრუნვა ყველაფერს ანგრევს, ყველაფერს ანადგურებს, ყველაფერს სიკვდილის დაღს ასვამს და დავიწყების უფსკრულისაკენ მიაქანებს. ასეთია საზოგადოთ ბუნების დაუნდობელი და

შეუბრალებელი კანონი. მაგრამ ხანდახან დრო გამოშვებით, ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაში — იბადებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც, რაღაც ზე-ბუნებრივი ძალით აღჭურვილნი, გადალახავენ ბუნების ამ ჩვეულებრივ კანონს, სძლევენ მას და სამარადისო სიცოცხლესა და უკვდავებას მოიპოვებენ ამ ქვეყნათ. აი სწორეთ ასეთ უკვდავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის დიდებული ინგლისელი დრამატურგი და მსოფლიო ლიტერატურის ერთი მნათობთაგანი უილიამ შექსპირი.

მართლაც რომ უკვდავია შექსპირი! ავერ სამასი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც ეს შესანიშნავი ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ მას არავინ ივიწყებს. მისი სახე დღესაც გაციკროვნებული და შარავანდენდით მოსილი ღვას კაცობრიობის წინაშე; მას ყველა ქება დიდებას უძღვნის, ყველა მოწიწებით და პატივისცემით იხსენიებს მის ბრწყინვალე სახელს, ყველა მუხლს იღრეკს მის გენიალურ ნიჭის წინაშე.

რით დაიმსახურა შექსპირმა ასეთი დიდება და პატივისცემა? რით დაიდგა ხალხის გულში ასეთი სამარადისო ხელთუქმნელი ძეგლი? — თავისი უკვდავი ნაწარმოებით. შექსპირის თხზულებანი ეს ის ზღაპრული ჯადოსნური სარკეა, რომელში ჩახედვითაც ადამიანი დაინახავს მთელ ჩვენს ცხოვრებას, მიწ-



ვდება მის ყოველივე კუნჭულს, გაეცნობა მის ყოველივე მხარეს: მის ავს და კარგს, სიმწარეს და სიტკბოებას, ბოროტებას და სიკეთეს. შექსპირი ადამიანის გულის ჯადოსნური მესაიდუმლოა ადამიანის გულში არ აღძრულა ისეთი გრძნობა, რომ მას შექსპირი არ მიწოდებოდა და თავის უკვდავ ნაწარმოებში შეუღარებლათ არ გადმოეცა.

როდესაც ვკითხულობთ შექსპირის ნაწარმოებს ან და თეატრში ვისმენთ მას, — ჩვენ გეხიბლავს და გვიტაცებს მისი სილამაზე და მშვენიერება, გვიტკობს გულს, გვისპეტაყებს სულს, გვაძალღებს ზნეობრივად და სულიერად, გვაშორებს ყოველივე ბოროტებას და მიგვიწოდებს კეთილისაკენ; მისი ღრმა-შინაარსიანი აზრები ავსებს ჩვენს გონებას სიბრძნით, ცხოვრების ცოდნით და გამოცდილებით. ერთი სიტყვით შექსპირი ჩვენი უდიდესი და უკვდავი მასწავლებელია! და აი წელს 23 აპრილს სამასი წელიწადი შესრულდება, რაც ეს ჩვენი დიდებული მასწავლებელი გარდაიცვალა, და ამ სამასი წლის თავზე ურიგო არ იქნება მოკლეთ გადავავლოთ თვალი მის ცხოვრებას და ამით პატივი ვცეთ მის ბრწყინვალე სახელს.

უილიამ შექსპირი დაიბადა 1564 წელს ინგლისის ერთ პატარა ქალაქ სტრატფორდში. სტრატფორდი ეხლაც ძლიერ პატარა ქალაქია და სამასი წლის წინეთ ხომ სრულიათ არ განსხვავდებოდა სოფლისგან. მისი მცხოვრებთა რიცხვი 1400 სულს არ აღემატებოდა. მაშინ შექსპირის მამა ჯონ შექსპირი ამ ქალაქში შეძლებულ მოქალაქეთა რიცხვს ეკუთვნოდა; მას ჰქონდა იქ საკუთარი სახლ-კარი და ზოგის გადმოცემით სავაჭროც. საერთოდ ჯონ შექსპირს მოქალაქეთა შორის საკმაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული და ერთხელ ქალაქის მერათ ე. ი. ქალაქის თავათაც კი ამოირჩიეს ის.

პატარა უილიამი კი უზრუნველათ და უღარდელათ იზრდებოდა დედ-მამის ოჯახში, სანამ ოჯახის კეთილდღეობა არ შეიცვლებოდა და სიღარიბის კლანჭებში არ ამოჰყოფდა თავს. უილიამი იზრდებოდა ისე, როგორც იზრდებიან საზოგადოთ სოფლის სხვა ბავშვები. ის თავისუფლათ დახტოდა თავის ტოლებთან ერთად მინდორ-ტყე-ველათ, მთელ დღეებს ატარებდა ბუნების წიაღზე; და სწორეთ აქ გაეცნო პატარა უილიამი ბუნების სიმშვენიერეს და სილამაზეს, მის სილიადეს, მის ყოვე-

ლივე საიდუმლოებას, და ამით აიხსნება ის შესანიშნავი და შეუღარებელი ბუნების აღწერანი, რომლითაც დამშვენებულია მისი მრავალი ნაწარმოები.

მაგრამ აგერ ბავშობის ერთმა ხანმა განვლო. უილიამი 7-8 წლისა ხდება და დედ-მამაც იწყებს ზრუნვას მის სწავლის შესახებ, სტრატფორდი როგორც ვთქვით თუმცა პატარა ქალაქი იყო, მაგრამ იქაც მოიპოვებოდა მაშინ კარგი სასწავლებელი. ეს იყო ეგრეთ წოდებული სტრატფორდის „საგრამატიკო სკოლა“. იქ სხვათა შორის ასწავლიდნენ კლასიკურ ენებს (ლათინური და ბერძნული) და ლიტერატურას. აი სწორეთ ამ სკოლაში შეიყვანა დედ-მამამ პატარა უილიამი. მაგრამ სწავლაში უილიამი მაინც და მაინც დიდ ბეჯითობას არ იჩენდა. მას ვერაფრათ აკმაყოფილებდა სასწავლებელში გამეფებული წეს-რიგი და თვით ძველი ენების სწავლება. შემდეგ სასტიკათაც დასცინა თავის ერთ-ერთ კომედიაში ყველა მასწავლებლებს.

14-15 წლის იქნებოდა შექსპირი, რომ სასწავლებელი დაასრულა, ხოლო-ცოდნა კი ძლიერ ცოტა გამოიტანა იქიდან: ესმოდა ცოტა ლათინური და კიდევ უფრო ცოტა ბერძნული, ეს იყო და ეს—ამით დამთავრდა შექსპირის სწავლა, და თუ შექსპირმა თავისი სწავლა ვერ განაგრძო ეს ალბათ სხვათა შორის იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ იმ ხანებში შექსპირის ოჯახს დიდი გასაჭირი დაატყდა თავს. მამის საქმეები საშინლათ აიწეწ-დაიწეწა. მთელი ოჯახი საშინელ სიღარიბეში ჩავარდა და ვალებით დაიყურა; ბოლოს საქმე იქამდისაც მიადწია, რომ ჯონ შექსპირი გარეთ გამოსვლასაც ვეღარ ბედავდა მოვალეების შიშით. ახალ სკოლა დამთავრებული უილიამი იძულებული გახდა რითიმე დახმარებოდა მამას. ზოგის გადმოცემით ის მასწავლებლობდა სოფლათ, ზოგის გადმოცემით კი თვით მამას ეხმარებოდა ოჯახში. მაგრამ საქმეს გამოკეთება მაინც არ ეტყობოდა და ოჯახიც ძველებურათ განიცდიდა აუტანელ გაჭირვებას. ოჯახის გაჭირვება უფრო გააძლიერა და მისი კეთილდღეობა უფრო შეარყია თვით უილიამის მიერ ერთმა დაუფიქრებელათ გადაწყვეტილებამ. ის 19 წლისა არც კი იქნებოდა, რომ ჯვარი დაიწერა თავისზე რვა წლით უფროს ქალზე ანნა გესუეზე. ქორწინებას მოყვა უი-



ლიამის დაწვრილ-შეილება, ამან რასაკვირველია გამოიწვია ოჯახში ზედმეტი ხარჯები, და ბოლოს უილიამი ისეთ აუტანელ გაქვიერებაში და სიღარიბეში ჩავარდა, რომ იძულებული გახდა მიეტოვებია თავისი სამშობლო ქალაქი სტრატფორდი და სხვაგან წასულიყო ბედის საძიებლათ. შექსპირი გაემართა სატახტო ქალაქ ლონდონისაკენ. ლონდონში ჩასვლისთანავე შექსპირი შევიდა აქტიორთა დასში. იქ ის პირველათ უბრალო მოსამსახურის როლებს ასრულებდა, მაგრამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე მიიქცია აქტიორთა ყურადღება, და მას უფრო ძნელი როლების შესრულებაც დააკისრეს. შექსპირი ნიჭიერათ და დაკვირვებით ასრულებდა როლებს, ის თანდათან ეჩვევა აქტიორობას, შესანიშნავათ ასრულებდა მოხუცებულების და მეფეების როლებს და ბოლოს იქამდისაც კი მიაღწია, რომ თვით ინგლისის დედოფლის ელისაბედის თანადასწრებითაც კი თამაშობს სცენაზე.

მაგრამ შექსპირს აქტიორობით არ მოუხვეჭია სახელი. აქტიორობა მისთვის მხოლოდ შემოსავლის წყარო იყო. ის დიდ ფულს იძენდა, მისი სიმდიდრე დღითიდღე მატულობდა, ოჯახი დაღუპვას გადაარჩინა და ფეხზე წამოაყენა. ამავე დროს შეიძინა მრავალი მამული და გამდიდრდა კიდევ. მაგრამ ეს ხომ წარმავალი დიდება იყო. ხოლო ამ წარმავალ შექსპირის დიდებას თან მოჰყვებოდა უკვდავი დიდება, უკვდავი სახელი, როგორც შეუღარებელი დრამატურგის და მსოფლიო მწერლის, შექსპირმა აქტიორობის დროს ხელში კალამიც აიღო და სწერდა მრავალ კომედიებს და დრამებს. პირველ ხანებში, როგორც ახალგაზრდა, განიცდიდა სხვის გავლენას და მისი ამ ხანის ნაწარმოები შედარებით სუსტი იყო, მაგრამ შექსპირიც თანდათან ვაჟკაცდებოდა, მწიფთებოდა, მისი ნიჭიც იზრდებოდა და თანდათან შლიდა თავის გენიოსურ ფრთებს. მისი უკვდავი ნაწარმოები მსოფლიოთ ცნობილია. მაგალითად: „მეფე ლირი“ „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაგბეტი“, „რომეო და ჯულიეტა“ და სხვები. დღესაც მსოფლიო ლიტერატურის გვირგვინის დამამშვენებელ ბრწყინვალე მარგალიტებათ ითვლება.

დრო ჩვეულებრივი სისწრაფით მიჰქროდა, და შექსპირსაც სიბერე შემოეპარა; დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ მასაც დასვენება ეჭივრებოდა და იგი ეთხოვება თავის საყვარელ სცე-

ნას, ამხანაგებს, ლონდონს, სადაც ასეთი სიდიადით და ბრწყინვალეობით ამობრწყინდა მისი ღიღების მზე, და ისევ უბრუნდება სამშობლო ქალაქს სტრატფორდს, თავის ოჯახს და იქ მშვიდად და უზრუნველათ ატარებს თავის დანარჩენ სიცოცხლის დღეებს. გარდაიცვალა შექსპირი 1616 წელს 23 აპრილს. ღიღებულათ დაასაფლავეს ის სტრატფორდის ეკლესიაში. ის დამარხულია თვით ეკლესიის საკურთხეველის წინ. დასაფლავების რამოდენიმე წლის შემდეგ, საფლავის უახლოეს საყდრის კედელზე გამოაქანდაკეს შექსპირის ბიუსტი. ეს ბიუსტი დღესაც ინახება. თვით სტრატფორდის ტაძარი კი დღეს თითქოს სალიტერატურო სამლოცველოთ გადაქცეულა, მას ყოველ წლებით აუარებელი მგზავრები აწყდება, რომელნიც მოდიან შექსპირის საფლავის დასათვალიერებლათ, მის პატივის საცემლათ და საღიღებლათ*).

აღ. ლორდელი.



*) ჯეჯილის შემდეგ ნომერში იქნება დასტამბული „მეფე ლირი“ ბოთხრობილი ამბავი.

ხალხური ლექსები

მარიამ დედოფალზე

ნეტა რა არი მისთანა, ამომავალი მზისთანა,
 წყალში რომ ფეხი უდგია, იმ ოქროს ჩარდახისთანა*)
 გაღმით-გამოღმით ქალაქი, შუაზედ მეიდნისთანა,
 დედის მუცლიდან ნაშობი, მარიამ დედოფლისთანა?**)
 მარიამო, რამ გაგავსო, თოთხმეტი დღის მთვარის მგზავსო?
 შიგნით თვალი სამოთხის გაქვს, გარს წამწამი ხშირი გაქვსო,
 ერთი შენი შემოხედვა, ათას ჯაერსაც დაკარგავსო!


მცხეთის ტაძარი.

ცხეთა! ისე აგაშენე, არცა ტკვარი, არც არაგვი
 ცვარი არ ამომიღია, ოსტატმა მარჯვენა მომქრა:
 „კარგი რისთვის აგიგია?!

გაღმა-გამოღმა ყანაო, შუაზე გამოგვალოა,
 გაღმა ირემი ბლაგაო, ნეტამც აქ გამომგვარაო.

აღალ მაქო, დაღალ მაქო,
 დიდ მინდორში ყანა მაქსო;
 მუშა ბევრი შევიწვიე,
 საქამადი აღარ მაქო.

აზნაურის სტუმრობაო,
 ნუ გგონია ხუმრობაო,



*) ამ ჩარდახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში, რიონის პირად, ვაჟე-
 ბის გიმნაზიასთან.

**) სოლომონ მეორის შეუღლე.

მიიღება ხელის მოწმობა 1916 წლისათვის.

უკვე აღდგომის სანდოებია და სლიტერატურა გაზეთი

სახალხო ფურცელი

სახალხო ფურცელი
თბილისი

გამოცა იმავე პროგრამით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი დამატებიანთ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი უფლებან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრულედ გადაიხტიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სახალხოს ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკითხე. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовыщикъ 190

Открыта подписка на 1915 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія седмой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб.—50коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцова, ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Н. . Тумановъ Издатель З. З. Горделадзе.



ქართული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი
რუსა გეგვილა წალიწალი.

ჟეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი
განყოფილებაა, ზღაპრებისათვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება
± მან., ქალაქ გურეთ (გაგსაგნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედაქციაში იეიდება ძალიანი იათუათ

კვალი წლის ნომრები